საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 30 მარტი. 2018 წ. №65 (8466), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

კახა იმნაძე: რუსეთის ოკუპაციამ აფხაზეთი და ცხინვალი აქცია ტერიტორიებად, სადაც მკვლელობა და წამება დაუსჯელი რჩება! 2

გიორგი კვირიკაშვილი:

ჯერჯერობით, არსად წასვლას არ ვაპირებ!

ჯერჯერობით, არსად წასვლას არ ვაპირებ, – ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვას იმის შესახებ, იგეგმება თუ არა სამთავრობო ცვლილებები.

„ცვლილებები არის ჩვეულებრივი ამბავი. მე, ჯერჯერობით, არსად წასვლას არ ვაპირებ. ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვს კიდევ გასაკეთებელი. დამშვიდდით, დაწყნარდით. ქვეყანას სჭირდება სტაბილურობა და ყველაფერი კარგად იქნება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როკიდან – ლარსამდე!

7

აგრესიული მეზობლის შიშით განვითარება არ უნდა შევაჩეროთ!

რას ფიქრობენ ქართველი ექსპერტები ლარსისკენ მშენებარე ახალ გზაზე

სავალალო სტატისტიკა

დავიცვათ ოჯახები ძალადობისგან! 11

მიკერძოებული ავტორი ცენზურას ითხოვს!



6
7

ეს უკვე აღსაშფოთებელია!

ბანკები იპოთეკით დატვირთულ ქონებას 3 წელი ვეღარ გაყიდიან!

5

8

მთავარი საფრთხე საქართველო-ევროკავშირის ღია საზღვრებისთვის

ჩინური კოსმოსური სადგური შესაძლოა, დედამიწას დაეცეს – საქართველოც რისკის ზონაშია



8

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

გამოცემის მე-100 წელი

ტურიზმის განვითარებით სამართლიანად უნდა ვიამაყოთ!

ტურიზმი ნამდვილად გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ლოკომოტივად. 2017 წლის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში 7,5 მლნ-ზე მეტი საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა, რაც დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ უფრო გაიზრდება და 2018 წელი დასრულდება რიცხვით, რომელიც 8 მლნ-ს გადააჭარბებს. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი ტენდენციაა. ასევე, კარგია ის, რომ 2,7 მილიარდი დოლარი შემოვიდა ტურიზმის გზით საქართველოში 2017 წლის განმავლობაში, რაც არის შემოსავალი ჩვენი ეკონომიკის ყველა სფეროში, — ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2017 წლის ანგარიშის პრეზენტაციაზე გააკეთა, რომელიც ახლადგახსნილ სასტუმრო „მოქსიში“ გაიმართა.

„ძალიან მოხარული ვარ და სიმბოლურია, რომ დღეს ჩვენ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ანგარიშს ვისმენთ ამ ულამაზეს ახალ სასტუმროში, რომელიც სულ ახლახან დასრულდა და მე ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც ჩვენ აქ პირველი კაფსულა ჩავაგდეთ. სხვათა შორის, ეს არ იყო დიდი ხნის წინათ — საქართველოში ბრძანდებოდა OPIC-ის გენერალური დირექტორის მოადგილე, ბატონი კენეტ ენჯელი. ბატონ გია თავაძეს მინდა მადლობა გადავუხადო, რომ ჩვენს დედაქალაქს შემატა ასეთი ლამაზი სასტუმრო, რომელიც დარწმუნებული ვარ, გახდება ყველა ტურისტისთვის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი ჩვენს დედაქალაქში,“ — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

სიტყვით გამოსვლისას გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ გეოგრაფიული მდებარეობა არ უნდა იყოს ბარიერი ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის. ამ ნაწილში პრემიერ-მინისტრმა მთავრობის მიერ შემუშავებული ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ მიმართულებაზე, სივრცითი მოწყობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გახლავთ სივრცითი განვითარება და ყველა ეს მიმართულება ძალიან მჭიდრო, ლოგიკურ, ჰარმონიულ კავშირშია ერთმანეთთან.

სწორედ, სივრცითი მოწყობა გულისხმობს იმას, რომ გეოგრაფიული მდებარეობა არ იყოს ბარიერი ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის. თანამედროვე ინფრასტრუქტურის მიყვანა ტურიზმისთვის საინტერესო ყველა მიმართულებით არის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროს განვითარებისთვის.

სწორედ ამას ემსახურება ავტობანების მშენებლობა, ზამთრის ინფრასტრუქტურის განვითარება და ამას ემსახურება, ასევე, მომსახურების სფეროში აუცილებელი ინფრასტრუქტურის ჩონჩხის შექმნა, რომელიც პირდაპირ აისახება ტურიზმის სფეროს განვითარებაზე. ასე რომ, ამ მიმართულებით მთავრობის ძალისხმევა გაგრძელდება და დარწმუნებული ვარ, რომ ტურიზმის ეს პოზიტიური ტენდენცია, რომელიც დღევანდელ დღეს გვაქვს სახეზე, აუცილებლად შენარჩუნდება მომავალში,“ — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, უმნიშვნელოვანესია ის ახალი ტენდენციებიც, რომელიც ტურიზმის სექტორში გამოიკვეთა. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ზურაბ პოლოლიკაშვილის დანიშვნა დასტურია იმისა, რომ საქართველო მსოფლიო ტურისტულ რუკაზე ძალიან მყარ ადგილს იმკვიდრებს.

მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ ტურიზმის სფეროს განვითარების პოზიტიური ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.

„მინდა, გამოვთქვა იმედი და რწმენა, რომ მომავალში ეს პოზიტიური ტენდენცია ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში შენარჩუნდება, რაც ნიშნავს, რომ ტურიზმი აჩენს ეკონომიკურ მოთხოვნას, რასაც მოჰყვება მიწოდების ზრდა. ეს არის არა მხოლოდ მომსახურების სფეროში, არამედ აბსოლუტურად, ეკონომიკის ყველა მიმართულებაში. ეს არის სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა და მე ძალიან მახარებს, რომ საქართველოში, საერთაშორისო ბრენდების სასტუმროებში სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს ქართული პროდუქცია; ეს ტენდენცია, იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ „მოქსის“ ამ უმშვენიერეს სასტუმროშიც გაგრძელდება. აგრეთვე, ეს არის მოთხოვნის ზრდა ტრანსპორტის სფეროში, კომუნიკაციებში და უამრავი სხვა ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებით. ახალი მოთხოვნა, დამატებული მოთხოვნა, პირდაპირ აისახება ჩვენს ქვეყანაში განვითარების აბსოლუტურად ყველა მიმართულებაზე,“ — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა პირველ ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გიორგი ჩოგოვაძეს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

რუსეთის ოკუპაციამ აფხაზეთი და ცხინვალი აქცია ტერიტორიებად, სადაც მკვლელობა და წამება დაუსჯელი რჩება!

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს ელჩის გამოსვლის მთავარი თემები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის ფაქტი იყო. კახა იმნაძემ ხაზი გაუსვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულყოფილი მონიტორინგის არარსებობის პირობებში შექმნილ მძიმე ვითარებას.

„რუსეთის ოკუპაციამ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები აქცია ტერიტორიებად, სადაც მკვლელობა და წამება დაუსჯელი რჩება. 22 თებერვალს სამოქალაქო პირის არჩილ ტატუნაშვილის სასტიკი მკვლელობა მოხდა, თუმცა მისი ცხედარი საოკუპაციო ძალებმა ქართულ მხარეს მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გადმოსცეს.

სამედიცინო ექსპერტიზამ მისი წამების დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოავლინა, საქართველოში გაეროს სამშვიდობო მისიის შეწყვეტამ, რაც ამ საბჭოს ერთ-ერთი წევრის ვეტოს გამოყენებამ განაპირობა, შექმნა საერთაშორისო ყოფნის ვაკუუმი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, გადააქცია ისინი შავ ხვრელებად ადამიანის უფლებების დარგში. ეს ვითარება აჩვენებს ადგილზე საერთაშორისო უსაფრთხოების შეთანხმებების საჭიროებას როგორც ეს 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით არის გათვალისწინებული. ამ დრომდე მოლაპარაკებები ამ საკითხზე მოჩვენებითია“, — აცხადებს კახა იმნაძე.

იმნაძემ გაეროს წევრ სახელმწიფოებს შეახსენა, როგორ შეუწყვიტა მანდატი რუსეთის ფედერაციამ გაეროს სადამკვირვებლო მისიას და ეუთოს და ხაზი გაუსვა, თუ რამხელა პრობლემებს ქმნის სრულყოფილი მონიტორინგის არარსებობა, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არასოდეს უსარგებლია სამშვიდობო ოპერაციების სრულყოფილი მანდატით, 1993 წლიდან, გაეროს დამკვირვებელთა მისია საქართველოში, უსაფრთხოების დასაცავად გადამწყვეტ როლს ასრულებდა, თუმცა, 2009 წელს, ამ უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივი წევრის ვეტოს გამო გაეროს დამკვირვებელთა მისია შეჩერდა და ამით შეიქმნა ძალიან საშიში პრეცედენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში. გაეროს დამკვირვებელთა მისიის მანდატის იძულებით შეწყვეტა წინ უძღვოდა ეუთოს მისიის შეჩერებას, რამაც წარმოიქმნა საერთაშორისო წარმომადგენლობის აბსოლუტური ვაკუუმი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და გადააქცია ისინი შავ ხვრელებად ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა დაახასიათა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთულად შესაღწევი ადგილი დედამიწაზე“, — განაცხადა კახა იმნაძემ.

საქართველო რუს დიპლომატს აძევებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციის თანამშრომელს მიუღებელ პიროვნებად აცხადებს და მოითხოვს მის მიერ საქართველოს დატოვებას 7 დღის ვადაში.

„საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტს, რამაც გამოიწვია სამი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და სერიოზული საფრთხე შეუქმნა სხვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნული წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას საერთო უსაფრთხოებისთვის. სამინისტრო გამოხატავს სოლიდარობას გაერთიანებული სამეფოსადმი, იზიარებს გაერთიანებული სამეფოსა და საერთაშორისო საზოგადოების პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად, მიუღებელ პიროვნებად აცხადებს საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციის თანამშრომელს და მოითხოვს მის მიერ საქართველოს დატოვებას 7 დღის ვადაში“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

ქვეყნიდან რუსი დიპლომატის გაძევება საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილია

— ამის შესახებ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა. მისი თქმით, დიპლომატების გაძევება ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესია, რომელიც დიდი ბრიტანეთის მიერ არის დაწყებული, თუმცა ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთის მისამართით სანქციებს იყენებენ. მისივე თქმით, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ევროპული და საერთაშორისო ორგანიზაცია ასეთ სანქციებს მიმართავს, მაგრამ ასეთი სახის პერსონალური გადაწყვეტილებები, რაც საერთო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ნაწილია, არის უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი. **ბესელიამ აქვე აღნიშნა, რომ მსგავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ყოველთვის მოჰყვება შესაბამისი შედეგი.**

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ

29 მარტს ქალაქ ზუგდიდში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მცირე მეწარმეებისთვის შემუშავებული ახალი საგადასახადო ინიციატივა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს გააცნო.

„ეს არის უპრეცედენტო მოვლენა მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში საგადასახადო თვალსაზრისით. ხუთჯერ მცირდება გადასახადი 5%-დან 1%-მდე მაშინ, როდესაც ხუთჯერ იზრდება ზღვარი მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. სამეგრელოს აქვს ძალიან კარგი პოტენციალი, იმისთვის რომ აღნიშნული საგადასახადო რეფორმა ძალიან კარგად გამოიყენოს. ჩვენ მნიშვნელოვან პროგრესს ვხედავთ სამეგრელოში ტურიზმის ზრდის კუთხით, ასევე, სამეგრელოში ხორციელდება ყველაზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოში — ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სახით, სადაც მე იმედი მაქვს, საშუალება იქნება, რომ მცირე და საშუალო ბიზნესმა შეძლოს თავისი პოტენციალის რეალიზება. ვფიქრობთ, რომ ის შეხვედრები, რაც ჩვენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავმართეთ, იყო ძალიან ნაყოფიერი იმისთვის, რომ კიდევ უფრო დაგვეხვეწა ეს პრინციპულად მნიშვნელოვანი რეფორმა“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

ახალი საგადასახადო ინიციატივა ითვალისწინებს დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შემოღებას, რომელიც შეეხება 120,000-მდე მეწარმე ფიზიკურ პირს. ახალი ინიციატივის შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭებათ მეწარმეებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში იქნება 500,000 ლარამდე, ხოლო მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება მინიმალური, ერთობლივი შემოსავლის 1%-იანი გადასახადით.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საagენტოს „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მხარდაჭერილი ბენეფიციარების რიცხვს კიდევ ერთი კომპანია, შპს „ემჯიემტექს“ შეემატა, რომელიც მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის წარმოებას შეძლებს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში კომპანია უახლესი ტექნოლოგიის საკერავ მანქანა-დანადგარების შეძენას შეძლებს. კომპანია ექსპორტზე იქნება ორიენტირებული, კერძოდ უახლესი ტექნოლოგიით დამზადებულ, მაღალხარისხიან პროდუქციას ევროპის ქვეყნებში გაიტანს, როგორიცაა რუმინეთი, შვედეთი და სხვა.

შპს „ემჯიემტექს“, რომელიც 2018 წლის აპრილის დასაწყისში ამოქმედდება, წლიურად 3 300 000 ლარის ტანსაცმლის წარმოებას შეძლებს. საწარმო ამოქმედების პირველ ეტაპზე 250 ადამიანს დაასაქმებს, სამომავლოდ კი 300 ადამიანის დამატებას გეგმავს.

აღნიშნული საწარმო ქუთაისში, ზ. გამსახურდიას გამზ. №47 განთავსდება და პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით ისარგებლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური 1 200 000 ლარს შეადგენს.

ᲥᲔᲓᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲞᲐᲠᲙᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲥᲔᲓᲘᲡ მუნიციპალურ სამსახურს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკს სამედიცინო ინვენტარით სრულად აღჭურვილი ორი სპეცმანქანა გადასცა. განახლებული ავტოპარკი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ დახმარების ცენტრის დირექტორთან ავთანდილ თალაკვაძესთან, აჭარის ჯანდაცვის მინისტრთან ზაალ მიქელაძესთან და რაიონის ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა მაღალმთიანი აჭარის მაჟორიტარი საქართველოს პარლამენტში ანზორ ბოლქვაძე.

რეგიონის პირველი პირი ქედის რაიონულ სამსახურში შეკრებილ მედ-პერსონალს მიესალმა და მადლობა გადაუხადა ყოველდღიურად გაწეული საქმიანობისთვის. ზურაბ პატარაძემ აღნიშნა, რომ მაღალმთიანი სოფლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის სამედიცინო წესით აღჭურვილი სასწრაფო დახმარების მანქანები. შედეგად გაიზრდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესდება სამედიცინო სერვისი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს 22 ჯიპის ტიპის სამედიცინო წესით აღჭურვილი სპეცმანქანა რთულ რელიეფზე გადაადგილებისთვის გადასცა.

დღეისთვის,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტოპარკი 232 ევროსტანდარტების შესაბამისი სპეცმანქანით განახლდა. ამათგან, 10 რეანიმობილი კლინიკებს შორის მძიმე პაციენტების ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება. 222 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანიდან — 80 საშუალო და 120 მაღალი გამავლობისაა, ხოლო 22 ჯიპის ტიპის მანქანით კი, გადაადგილება განსაკუთრებით რთულ რელიეფზეა შესაძლებელი.

◎ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

26 მარტს თბილისის მერის მოადგილე სოფო ხუნწარია ბიბლიოთეკარებს შეხვედა.

წლის ბოლომდე გამოცდების გადადება ვითხოვეთ.

გვქონდა არგუმენტებიც, მაგრამ მან არ მოგვისმინა. თუ გამოცდებს წლის ბოლომდე გადავიტანთ, მაშინ საგამოცდო საკითხებს გაგირთულებთო. შეხვედრამ არასასიამოვნო, ძალიან შეურაცხმყოფელ ატმოსფეროში ჩაიარა. ქალბატონ სოფოს არაფრად მიაჩნია საბიბლიოთეკო დარგში მომუშავე სპეციალისტების აზრი, აბსოლუტურად ხაზი გადაუსვა ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას. საინტერესოა, რატომ ჰგონია ადვილი ბიბლიოთეკების მართვა არასპეციალისტების ჩანაცვლებით? რეორგანიზაცია შესაძლებელია გამოცდების გარეშეც! მის მიერ გამოცდების ასე დაჟინებით მოთხოვნა საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ ამჟამინდელი თანამშრომლების ქუჩაში გაყრა უნდა.

ამ წერილის დაწერა გადაგვაწყვეტინა „საქართველოს რესპუბლიკის“ 27 მარტის ნომერში დაბეჭდილმა ინფორმაციამ, სადაც სოფო ხუნწარია ამბობს, თითქოს ჩვენ ვთხოვეთ ერთი თვით გამოცდების გადაწევა.

ბიბლიოთეკების ყველა თანამშრომლის მოთხოვნაა, გამოცდებმა გადაიწიოს წლის ბოლომდე ან რეორგანიზაცია ჩატარდეს უგამოცდოდ.

ჩვენ მივესალმებით ქალაქის მერის დაინტერესებას ბიბლიოთეკების მოდერნიზაციით. ახალი რეფორმა კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა ჩაატარონ. გამოცდები ამ რეფორმის ბოლო ეტაპი უნდა იყოს .

მოვითხოვთ ქალაქის მერთან, ბატონ კახი კალაძესთან შეხვედრას — მისი იმედი გვაქვს. მან დააანონსა, რომ გამოცდების გადადებაში პრობლემას ვერ ხედავდა, საკითხავია, სოფო ხუნწარია რატომ არ ითვალისწინებს მერის აზრს?!

გთხოვთ, დაგვიბეჭდოთ გამოხმაურება 27 მარტს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდლილი წერილის „ბიბლიოთეკარებს ტესტირებისთვის მოსამზადებლად დამატებით ერთი თვე მიეცემათ“ საპასუხოდ.

ეს 34 ბიბლიოთეკის მენეჯერების მოსაზრებაა.

34 ბიბლიოთეკის მენეჯერთა სახელით
ᲘᲠᲘᲜᲐ ᲙᲔᲜᲭᲐᲫᲔ,
ᲚᲔᲚᲘ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ,
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙᲨᲘ ᲗᲐᲘᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲙᲝᲚᲔ�გᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ტაილანდის სამეფოს დედაქალაქ ბანგკოკში ვიზიტის ფარგლებში ტაილანდის სოფლის მეურნეობისა და კოოპერატივების მინისტრს გრისადა ბუნრახს შეხვდა. ტაილანდის სოფლის მეურნეობისა და კოოპერატივების სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის არსებულ პოტენციალზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა საქართველოში განხორციელებულ რეფორმებსა და ეკონომიკურ სფეროში მიღწევებზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტაილანდის სამეფოსთან, როგორც რეგიონის წამყვან ქვეყანასთან, ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

როგორც ტაილანდის სოფლის მეურნეობისა და კოოპერატივების მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, მნიშვნელოვანია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოცდილების გაზიარება გარემოს დაცვის მიმართულებით, მათ შორის, ტყისა და წყლის რესურსების ეფექტიანი მართვის კუთხით.

ტაილანდის სოფლის მეურნეობისა და კოოპერატივების მინისტრის განცხადებით, მისთვის ცნობილია ქართული ღვინის მაღალი ხარისხის შესახებ. მინისტრმა მზადყოფნა გამოთქვა, მხარი დაუჭიროს ქართული პროდუქციის ტაილანდის სამეფოში პოპულარიზაციას.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲠᲐᲓᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲛᲣᲮᲐᲨᲘ 30 000 ᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲐ

ᲛᲗᲔᲚᲘ ღამის განმავლობაში პარალიზებული იყო ზუგდიდი-ანაკლიის ცენტრალური გზა. მიზეზი ბიძინა ივანიშვილის ხის ტრანსპორტირებაა.

დაახლოებით 80 წლის მარადმწვანე მუხა ზუგდიდის სოფელ ინგირიდან სოფელ კახათში გადაიტანეს. ხის გადასატანად სპეციალურად დროებითი გზაც დააგეს, მომავალ კვირას კი მუხას ევკალიპტებთან ერთად შეკვეთილში მიიტანენ. ტრანსპორტირებისას რამდენიმე ადგილას ავარიული მდგომარეობა შეიქმნა, რადგან ხე ელექტრო ბოძებსა და გზის მეორე მხარეს მდებარე ხეებს შორის ვერ გაეტია.

ხის ყოფილი მფლობელი დავით ჭეჟიაა, რომელიც ამბობს, რომ მუხა 30 ათას ლარად გაყიდა.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ მუნიციპალიტეტში რწყვის რეჟიმის გაუმჯობესების მიზნით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 კმ სიგრძის სარწყავ არხს, დამონტაჟდა ახალი მილხიდები, წყალგამშვები ფარები და გამანაწილებელი კვანძები. არხის ფერდებსა და ძირზე მოეწყო რკინა-ბეტონის მონოლითური ფილები.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად წყლის მიწოდება გაუმჯობესდა 900 ჰექტარ მიწის ფართობზე. აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობით სარგებლობენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლები — ვახტანგისი, ჯანდარა და ნაზარლო.

პროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქართველოს მელიორაციამ“ განახორციელა.

◎ ბაზარი ჩვენი მღელვარებისა...

თვალებზე ლარიანაფარებულნი და არაპატიოსანი ვაჭრები

რა ხდება ჩვენს ბაზრებზე და რატომ ვაწყდებით ფეხის ყოველ ნაბიჯზე დარღვევებს? რატომ აღარ სურს მომხმარებელს სასურსათო ბაზარში მისვლა და რატომ ამჯობინებს სუპერმარკეტებს? რატომ არ ამოწმებს ბაზრის დირექცია მის ობიექტზე შეტანილ სურსათს და არ ცდილობს რამდენიმე ადგილას მაკონტროლებელი სასწორის დადგმას, რათა არაკეთილსინდისიერ მოვაჭრეს გაყალბების სურვილი ჩაუკლას?

ეს მარტივი გზა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა და ჩვენს სასურსათო ბაზრებსაც კლიენტებს არ დააკარგვინებდა, ამასთან, მოვაჭრესა და მყიდველს შორის გაუგებრობებსაც აგვაცილებდა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ეტიკის“ ხელმძღვანელი **ამირან შენგელია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ პირადად იგი, როგორც მომხმარებელთა უფლების დამცველი, ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს მოვაჭრის ნათქვამს, თითქოს მას უჭირს, ბანკიდან ფული აქვს ნასესხები და ამიტომაც დგას ბაზარში. სინამდვილეში, მოვაჭრეები შეგნებულად იქცევიან არაკეთილსინდისიერად, რათა ზედმეტი თანხები სხვისი უბედურების ხარჯზე იშოვონ.

„ვაჭრები სულ ტირიან. გამოდის, ფული გაქვს გამოტანილი ბანკიდან და ის ფული უნდა გადაიხადო ჩემი ჯანმრთელობის ხარჯზე? საქართველოში პატიოსანი ვაჭარი არ არსებობს. თუ არ მოიპარა, არ მოატყუა სხვა, თუ ძველი ახლად არ გაასაღა, „კარგი“ ვაჭარი არც არის. ბაზრის დირექციას არ აწყობს მაკონტროლებელი სასწორები დადგას, რადგან თვალებზე, ალბათ, ლარიანები აქვს აფარებული. ადრე ბაზრებში ქალაქის ვეტსამსახურიდან იყვნენ წარმომადგენლები, ანუ ვეტექიმები. ისინი ბაზარს არ ეკუთვნოდნენ, ეკუთვნოდნენ ქალაქის ვეტსამსახურს. ახლა თავად ბაზრის თანამშრომლები არიან ვეტსამსახურის წარმომადგენლები და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ასე რომ, ახლანდელ ბაზრებში შემმოწმებლების ყოლას აზრი არ აქვს. ჩვენს ბაზრებზე სიტუაციის გამოსასწორებლად გარკვეული იდეები მაქვს, ამ იდეებს თითქოს ყველა მხარს უჭერს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მერე არავინ აკეთებს. ზუსტი სასწორების დადგმის იდეაც მაქვს. სასწორს აქვს ერთი ადგილი, რომლის რეგულაციითაც გამყიდველს შეუძლია კილოიანი გირი გახადოს კილონახევრიანი, მოუკლოს, მოუჭიროს იმ კონკრეტულ ადგილს. ადრეც ვისაუბრე ამ თემაზე. ავიღე შაქარი. შაქარს ერთი კილო ეწერა, სინამდვილეში, 656 გრამი იყო. ასევე, 600 გრამი ეწერა წიწიბურას, მაგრამ 400 გრამი იყო. ბრინჯიც შეცვლილი იყო, მოკლედ, ყველაფერს აკლდა. ერთ შაქარს ეწერა პლუს-მინუს 5%. ერთკილოიანი შაქრის 5% კი 50 გრამი გამოდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1 ჩაის კოვზი შაქარი 5 გრამია, გამოდის, რომ 10 ფინჯანი ჩაის დასალევად თითო კოვზი შაქარი მაღაზიამ წაგვართვა. სინამდვილეში, 5% კი არა, 5 გრამი უნდა დაეწერათ შაქრის ეტიკეტზე“, — აღნიშნა ამირან შენგელიამ.

მანვე განმარტა, რომ ჩვენი მომხმარებლებიც არ არიან მზად საკუთარი უფლებების დასაცავად. ამიტომ მომხმარებელს ვერაფრით დაეხმარები. სავაჭრო ობიექტში როცა მიხვალ და გამყიდველს შენიშვნას მისცემ, თუ რატომ ყიდის უვარგის პროდუქციას, ისევ „დაზარალებული“ მომხმარებელი შემოგედავება, რომლის უფლების დაცვასაც ცდილობ. მომხმარებელი თითქოს იცოდებს გამყიდველს და ამბობს, რა ქნას, ცოდოაო. როგორც ჩანს, ნისიად წამოღებული საქონლის მძევალია და ნისიად რომ წაიღო პროდუქტი, ჩათვალა, გამყიდველის მხარე უნდა დაიჭიროს.

„ერთი მეუბნება, ამა და ამ მაღაზიაში კონკრეტული დარღვევებიაო. ვუთხარი, წამოდი და რეაგირება მოვახდინოთ-მეთქი. არა, ბიჭო, ასი ლარის გულისთვის როგორ ვირბინოო. თუ მომხმარებელი არ უფრთხილდება თავის ასლარს, მის ნაცვლად მე როგორ მოვუფრთხილდე? ამიტომაც არის, რომ ცხენის ხორცს გვაყიდებენ საქონლის ხორცის ნაცვლად. მართალია, ცხენის ხორცი ნებადართულია, არც კამეჩის ხორცია აკრძალული და კამეჩის ხარჩო უგემრიელესია, მაგრამ ეს ყველაფერი იაფია და რატომღაც ჩვენ ძვირად გვაყიდებენ“.

„აფბა“-ს ეკონომისტი **ანდრია გვიდიანი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ჩვენს ბაზრებში ზუსტი სასწორების დადგმის იდეა საინტერესოა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ეს იდეა შესთავაზოს ბაზრებს და ეს ჩვეულებრივი მომსახურებაა, რომელიც თავისუფალი ბაზრის პირობებში ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს შესთავაზონ. თუმცა ამ საკითხში სახელმწიფო რომ ჩაერიოს და სასწორების სიზუსტე გააკონტროლოს, სწორი არ იქნება.

„ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალი ბაზრის პირობებში და, შესაბამისად, თითოეული მოქალაქე საკუთარი ნებით იქ მივდივართ პროდუქციის საყიდლად, სადაც მეტი ნდობა გვაქვს. თუ არ ვენდობით ბაზრის გამყიდველებს და მათ სასწორებს, მივდივართ ჰიპერმარკეტებში. გვირჩევნია გადავიხადოთ ძვირი, მაგრამ ზუსტად ვიცოდეთ წონა და ხარისხი, ვიდრე წონაში მოტყუების სანაცვლოდ, ერთი შეხედვით, იაფი გადავიხადოთ და უფრო ძვირი დაგვიჯდეს ნაყიდი პროდუქცია. ჩვენ გვინახავს, ადამიანები თავიანთი სასწორებით დადიან ბაზრებში, რომ არ მოტყუვდნენ. თუკი ბაზრის ადმინისტრაცია გააკონტროლებს ამას და სიტუაციის გამოსწორებას სწორი სასწორებით შეეცდება, მაქსიმალურად ბევრ მომხმარებელს მიიზიდავს. ეს მათი პრეროგატივაა. თუ დახარჯავენ რესურსს და გამოყოფენ საშტატო ერთეულს, რომელიც სასწორების გადამოწმებით იქნება დაკავებული, ცხადია, უკეთ მიიზიდავენ მომხმარებელს. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ხელოვნური ჩარევის გარეშე ბაზარი მომხმარებელთან ურთიერთობას თავად დაარეგულირებს“, — აღნიშნა ანდრია გვიდიანმა.

მანანა ნოზაძე

ჯანმრთელობისთვის საშიში ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი და კოსმეტიკა

ჰიგიენის საშუალებები, კოსმეტიკა, პარფიუმერია, ავეჯი, ქსოვილი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი — ეს იმ პროდუქციის მცირე ჩამონათვალია, რომელსაც სახელმწიფო არ აკონტროლებს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, დღეს ადგილობრივ ბაზარზე საშიში ნივთიერებებით გაჯერებული არაერთი პროდუქციაა.

„მაგალითად საღებავები, რომლებიც უკონტროლოა და შეიცავს ტყვიას. ჩვენ ასეთი საღებავებით ვაფერადებთ ჩვენივე სახლის კედლებს. ავეჯის შემთხვევაში ხდება ლაქების აორთქლება და ეს შიდა ჰაერს ძალიან აბინძურებს. ტანსაცმლით შესაძლებელია კანის დაავადებების გავრცელება. მძიმე ვითარებაა ჰიგიენის საშუალებებში, რადგან უკონტროლოა სარეცხი და საწმედი ფხვნილები, საპონი და ა.შ. არც თუ იშვიათად ისინი მძიმე ლითონებს შეიცავენ. რაც შეეხება კოსმეტიკას, მაგალითად, სახის კრემის შემცველობა ასევე არ კონტროლდება, მასში შესაძლოა, იყოს ისეთი ტოქსიკური ნივთიერება (რომელიმე ლითონი), რომელსაც კანი შეიწოვს, ამ გზით ეს ნივთიერება ხვდება ორგანიზმში და შეიძლება, გამოიწვიოს არაერთი დაავადება. ეს შეიძლება, იყოს ნერვული სისტემის დაზიანება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები და ა.შ.“, — განმარტავს ტოქსიკოლოგი სოსო კუტუბიძე.

სოსო კუტუბიძის მოსაზრებას იზიარებს ტოქსიკოლოგი ინგა ღვინერიაც, რომლის თქმითაც, დღეს ამ მხრივ ბაზარზე სრულად უკონტროლო ვითარებაა. მისი თქმით, კონკრეტულ პროდუქტში თუნდაც მცირე დოზით მავნე ნივთიერების მოხვედრა და შემდგომ ამ პროდუქციის სისტემატური მოხმარება, საშიში დაავადებების გავრცელების ალბათობას ძალიან ზრდის.

სპეციალისტები საკანონმდებლო ნორმების გამკაცრებას ითხოვენ

„იმდენად მძიმე ვითარებაა, რომ აქ ნორმებზე უკვე აღარ არის ლაპარაკი. ზოგადად, როდესაც ქვეყანაში შემოდის პროდუქცია, აუცილებელია ქიმიური რეგლამენტი იყოს დაცული, რაც საქართველოში არ ხდება. სახელმწიფო აპირებს ახალი კანონის შემუშავებას და კარგია, თუ გარკვეული პროდუქცია მაინც გაკონტროლდება, მაგრამ ეს თუ ისევ შემთხვევიდან შემთხვევამდე გაკონტროლდება და არ ექნება სისტემური ხასიათი, მაშინ არაფერი შეიცვლება. კანონი მხოლოდ ფორმალური იქნება“, — განმარტავს ინგა ღვინერია.

რაც შეეხება საკანონმდებლო დონეს, როგორც დარგის სპეციალისტებმა გვითხრეს, ამ ეტაპზე ეკონომიკის სამინისტრო შეიმუშავებს კანონს, რომელიც პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას გულსხმობს. აღსანიშნავია, რომ რეგულაცია მხოლოდ რამდენიმე პროდუქტზე განხორციელდება, თუმცა ჩვენს მიერ ჩამოთვლილი პროდუქტები ამ სიაში ვერ მოხვდებიან.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის კოორდინატორი ვახტანგ კობალაძე პრობლემას კანონში შეტანილ ახალ ცვლილებებშიც ხედავს. მისი თქმით, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რეგულაციის ნორმირებისა, პროდუქციის კონტროლი მაინც ვერ ხერხდება.

მისივე თქმით, დღეს რომ ბაზარზე საგანგაშო ვითარებაა, ამ მოცემულობას თავისი მხარდამჭერებიც ჰყავს და ეს ფაქტორი გარემოებას მეტად ამძიმებს. როგორც ვახტანგ კობალაძემ „კომერსანტთან“ აღნიშნა, ბიზნესის დიდი ნაწილი ის მხარეა, რომელიც საშიში პროდუქტების გავრცელებას აქტიურად ლობირებს.

„დღეს ასეთი პროდუქტები რომ მრავლადაა, ამას სუბიექტური ფაქტორიც განაპირობებს, რადგან მას ბიზნესის გარკვეულ ნაწილი პირდაპირ ლობირებს. არის მეორე მხარეც, რომელიც მხარს უჭერს კანონის გამკაცრებას, რადგან უხარისხო პროდუქცია მათ ბიზნესს განვითარებაში უშლის ხელს. კიდევ ერთი: რა შედეგები შეიძლება მოიტანოს საშიშმა პროდუქციამ? ამის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს თავად საზოგადოებასაც, ამიტომ კანონის გამკაცრების აუცილებლობაზე აქტიურად არ საუბრობს“, — განმარტავს კობახიძე.

სალომე მეგრელიშვილი

ბანკები იპოთეკით დატვირთულ ქონებას 3 წელი ვეღარ გაყიდიან!

„ბოლო საცხოვრისის“ პრინციპს აბსოლუტურად მივესალმები, რადგან ეს მიდგომა მოქმედებს ევროპის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და არის სრულად გამართლებული. არ შეიძლება, ბანკს პირდაპირ გამოსახლება შეეძლოს მოქალაქის და თუ ევროპაში გვინდა, მაშინ მისი ღირებულებებიც უნდა მივიღოთ“, — ასე აფასებს ეკონომიკის ანალიტიკოსი მერაბ ჯანიაშვილი „პატრიოტთა ალიანსის“ საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის მიხედვითაც იპოთეკით დატვირთულ ქონებას „ბოლო საცხოვრისს“ ბანკები 3 წელი ვეღარ გაყიდიან.

მისივე თქმით, ბიზნესასოციაციის წევრთა კონტრარგუმენტები იმის შესახებ, რომ ინიციატივის აღსრულების შემდგომ მოქალაქეები სესხებს ვეღარ აიღებენ და ვერც ბანკები გასცემენ იპოთეკურ სესხებს, არის არარეალური.

„მოქალაქეები იპოთეკურ სესხებს ძირითადად იღებენ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, რასაც სახელმწიფო ჯანდაცვის დაფინანსებით უნდა აგვარებდეს და მეორე მიზეზია ბიზნესის წამოწყება. ამ შემთხვევაში კი არსებობს ბიზნესსესხები და თუ ამის მიუხედავად მოქალაქე იღებს იპოთეკურ სესხს, ესე იგი საბანკო სექტორშია პრობლემა, ანუ ბანკები არ გასცემენ ბიზნესსესხებს. რაც შეეხება იმ კონტრარგუმენტს, რომ დაეცემა უძრავი ქონების ლიკვიდურობა, არის ასევე გაუმართლებელი. ლიკვიდურობა ისევ ბანკისთვის თუ დაეცემა, თორემ ბაზარზე გასაყიდად რომ გაიტანო ქონება, აქ პრობლემა არ იქნება. ამიტომ ბიზნესასოციაციის პოზიცია არის მიუღებელი“, — აცხადებს მერაბ ჯანიაშვილი.

მერაბ ჯანიაშვილის მოსაზრებას სრულად იზიარებს ეკონომისტი ვახტანგ ხომიზურაშვილიც. მისი თქმით, „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივა არის პოზიტიური, რადგან მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება დაფარონ სესხი და შეინარჩუნონ ქონება. ასევე აღნიშნული სიახლე მათთვის იქნება სტიმული, რათა დროულად მოიძიონ საჭირო თანხები.

„ვფიქრობ, მოქალაქეებისთვის ეს არის ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური მოვლენა. რაც შეეხება ბანკებს, რეალურად არც ისინი ზარალდებიან. საქმე იმაშია, რომ პრაქტიკაში არ არის მიღებული კომერციული ბანკები ფლობდნენ უძრავ ქონებას. წესით ვალის დაფარვის მომენტშივე ბანკმა ქონების რეალიზაცია უნდა მოახდინოს ღია აუქციონზე და დაფაროს სესხის ვალდებულება, დანარჩენი თანხა კი მფლობელს უბრუნდება. ჩვენთან ასე არ ხდება, რაც დაუშვებელია“, — განმარატავს ხომიზურაშვილი.

მისივე თქმით, არასწორია გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ინიციატივის დაკანონების შემთხვევაში, ბანკები აღარ გასცემენ იპოთეკურ სესხებს. როგორც ვახტანგ ხომიზურაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, იპოთეკური სესხები ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველყოფილი სესხია, რაზეც ბანკი უარს არასდროს იტყვის.

„იპოთეკურ სესხს არ გააჩნია ალტერნატივა, ანუ მისი ჩანაცვლება სხვა ანალოგიური პროდუქტით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, ბანკებს არ აწყობთ მასზე უარის თქმა, რადგან შემოსავალი არ ექნებათ. მეტიც, ფაქტობრივად, არც კი შეიზღუდება, რადგან ასეთ შემთხვევაში ბანკებს მოუწევთ მოზიდული სადეპოზიტო ბაზის შემცირება, რადგან ამ დეპოზიტებს ვეღარ დააბანდებენ სესხებში, ამაზე კი უბრალოდ არ წავლენ. ვინც ამბობს, რომ იპოთეკურ სესხებს ბანკები ვეღარ გასცემენ ან მოქალაქეები ვერ მიიღებენ, ეს სპეციალურად შემოგდებული თემაა“, — განმარტავს ხომიზურაშვილი.

ის, რასაც ვახტანგ ხომიზურაშვილი საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში არ მიესალმება, ეს მხოლოდ კეთილსინდისიერი მყიდველის უფლებების შეზღუდვაა. კერძოდ, ინიციატივის მიხედვით, სამი წლის განმავლობაში მოვალეს გასხვისებული ბოლო საცხოვრისის გამოსყიდვა შეუძლია იმ ოდენობის თანხით, რამდენადაც გაიყიდა უძრავი ქონება იძულებით აუქციონზე. კანონიერ მესაკუთრეს კი ქონების გამოთხოვება სასამართლოს გზით შეეძლება. ვახტანგ ხომიზურაშვილის თქმით, ამ შემთხვევაში ახალი მყიდველის უფლებები საკანონმდებლო დონზე ირღვევა.

„ის არის კეთილსინდისიერი შემძენი ამ უძრავი ქონების და თუ წაერთმევა ეს ქონება თუნდაც სასამართლოს გზით, მაინც არაკონსტიტუციურ მიდგომად მიმაჩნია“, — განმარტავს ხომიზურაშვილი.

ვახტანგ ხომიზურაშვილის ამ პოზიციას იზიარებს „აფბას“ ანალიტიკოსი ანდრია გვიდიანიც. მისი თქმით, ეს საკითხი არის საკმაოდ ბუნდოვანი, რადგან ერთი სოციალური ჯგუფების დაცვით, ილახება სხვა ჯგუფების უფლებები.

„ეს საკითხი ან უფრო დასაზუსტებელია, ან თუ ასეა, მაშინ არასწორია. რაც შეეხება ზოგადად ინიციატივას, მე არა მგონია, აღნიშნულმა რეალური შედეგი გამოიღოს. გაუაზრებლად მიმაჩნია ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რადგან სერიოზული პრობლემები შეექმნება საბანკო სექტორს, როგორც ერთ-ერთ მძლავრ ორგანოს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისა. შესაძლოა, სახელმწიფომ მოახდინოს ბიუჯეტიდან იმ ადამიანების სუბსიდირება, რომელთაც ბოლო საცხოვრისი აქვთ და ასეთი რამ ბევრგან ხდება, მაგრამ ამის გამო ბანკებმა არ უნდა იზარალონ. ზოგადად, როცა მოქალაქე თავის ქონებას დებს ბანკში, პასუხისმგებელიც თავადაა და აქ რისკების კარგად არშეფასება უფროა პრობლემა, ვიდრე სხვა რამ“, — განმარტავს გვიდიანი.

ბიზნესი, რომელიც არ იბეგრება

რეპეტიტორების ინსტიტუტი ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ სეგმენტად იქცა

რამდენად მომგებიანი ბიზნესია რეპეტიტორობა? არის თუ არა ეს საქმიანობა ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული დარგი? რას აკეთებს სახელმწიფო და როგორია მისი პასუხისმგებლობა? — ამ და სხვა დეტალების გასარკვევად „კომერსანტი“ სპეციალისტებს დაუკავშირდა. როგორც ირკვევა, რეპეტიტორების საქმიანობა დღემდე აქტუალურია და წლების მიხედვით, მათი საფასო პოლიტიკაც მზარდი ტენდენციით ხასიათდება. როგორც დარგის სპეციალისტებმა აღნიშნეს, ეს მიმართულება ადგილობრივ ბაზარზე საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია. რეპეტიტორების შემოსავლები რომ ნამდვილად დიდია, ამას აბიტურიენტებიც ადასტურებენ.

ლუკა სანიკიძე 149-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა. წელს ის აბიტურიენტია და უნივერსიტეტში მოხვედრის მიზნით 4 საგანში ემზადება. როგორც თავად ამბობს, დღევანდელი ფასების მიხედვით რეპეტიტორები ძვირად არ ამზადებენ.

„წელიწადში საშუალოდ სრულად მომზადება 5 ათასი ლარი მიჯდება. დღეს ეს თანხა არ არის ძვირი, საშუალოდ მიიჩნევა და ამ შემთხვევაში, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ქალაქის რაიონებია. ვცხოვრობ თემქაზე და რეპეტიტორებთანაც ამ ტერიტორიაზე დავდივარ. ცენტრში მომზადება კიდევ უფრო ძვირია. დღეს ისეთი ვითარებაა, რომ იძულებული ხარ, მოემზადო და ამ გარემოებით, ალბათ, თავად რეპეტიტორებიც სარგებლობენ. კარგი იქნებოდა, სკოლაში რაიმე ისეთი სისტემის არსებობა, რომ რეპეტიტორები აღარ დაგვჭირვებოდა. თუნდაც ეს იყოს ფასიანი. 5 ათას ლარზე ბევრად იაფი მაინც იქნებოდა“, — ამბობს ლუკა სანიკიძე.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტი თამარ მოსიაშვილი მიიჩნევს, რომ სარეპეტიტორო სკოლა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულებაა და საკითხზე ამ კუთხით არც ერთ ხელისუფლებას არ უსაუბრია. მიზეზი მარტივია — ინტერესთა შეუთავსებლობა.

„მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ საუბრობს ამ თემაზე ხელისუფლება, ის არის, რომ მას კონკრეტული პრობლემების მოგვარება მოუწევს, ეს კი არ აწყობს. კერძოდ, იძულებული გახდება, შეამციროს გამოცდების რაოდენობა და გაზარდოს სკოლის პედაგოგთა ხელფასები. სხვანაირად რეპეტიტორობა, როგორც ჩრდილოვანი ეკონომიკა, მუდმივად განვითარდება. არადა, ეკონომიკური კეთილდღეობისთვის ჩრდილოვანი ეკონომიკა წამგებიანია და მისგან არანირი სარგებელი არ მიიღება“.

რაც შეეხება თავად რეპეტიტორთა შემოსავალს, როგორც თამარ მოსიაშვილი მიიჩნევს, აღნიშნული საქმიანობა ნამდვილად მომგებიანი ბიზნესია. მისი თქმით, რეპეტიტორები არ იბეგრებიან, ფასებსაც თავად ადგენენ და ბაზარზე მოთხოვნაც საკმაოდ დიდია.

„პრობლემას ვერ მოაგვარებს მხოლოდ რეპეტიტორთა დაბეგვრა. ამით ისევ მშობელი იზარალებს, რადგან პედაგოგი კიდევ 20 %-ით გააძვირებს მომზადებას. რეპეტიტორები ზოგადად ფასებს იმის მიხედვით ადგენენ, თუ რა სეგმენტზე უნდათ მუშაობა, ანუ აქ არაფერ შუაშია ხარისხი. ასევე აღვნიშნავ იმასაც, რომ სკოლა ბავშვს გარკვეულ განათლებას, ბუნებრივია, აძლევს, სხვანაირად რეპეტიტორი ვერ დაეხმარებოდა მას, თუმცა ზოგადად საგანმანათლებლო პოლიტიკაში რომ პრობლემაა, ამას თუნდაც რეპეტიტორთა დიდი რაოდენობაც აჩვენებს. ეს პრობლემა კი სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს“, — განმარტავს მოსიაშვილი.

სარეპეტიტორო სკოლა რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული დარგია, ამას სკოლა „ჰამილტონის“ დირექტორი გია მურღულიაც ადასტურებს. მისი თქმით, რეპეტიტორთა შემოსავლები ნამდვილად დიდია და მისგან სახელწმიფო ბიუჯეტს არანაირი სარგებელი არა აქვს. იმის გამო, რომ სკოლებში პედაგოგთა ანაზღაურება დაბალია, მათი დიდი ნაწილი სწორედ ჩრდილოვან ეკონომიკაში მოღვაწეობს.

„როგორც კი გაკვეთილები მთავრდება, ძალიან ბევრი მასწავლებელი, მათ შორის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებიც, გარბიან სახლებში და სკოლის საჭიროებებს არ ახმარენ თავიან დროს, არამედ რეპეტიტორობენ. მათი საქმიანობა, რა თქმა უნდა, ჩრდილოვანი ეკონომიკაა, საიდანაც სარგებელი არის ნული და ზოგადად არაფორმალური ეკონომიკის ასეთი მასშტაბები ხელს უშლის ეკონომიკურ კეთილდღეობას ქვეყანაში“, — განმარტავს მურღულია.

მისივე თქმით, სკოლებში არაერთი პრობლემაა. მათ შორის, მაგალითად, კერძო სკოლაში, სადაც სწავლება რამდენიმე ათასი ლარი ღირს, მშობელი ბავშვს ამავე სკოლის პედაგოგთან ცალკეც ამეცადინებს. მეორე მხრივ, ხშირად მშობელი, რომელსაც უჭირს, იძულებულია, სასურველი ნიშნის მიღების სანაცვლოდ ბავშვი სკოლის კონკრეტულ მასწავლებელთან მოამზადოს, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს ამის გაკეთებას. როგორც გია მურღულია ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ამ ყველაფრის დაბალანსებასა და გარემოს შეცვლას სახელმწიფოს მხრიდან დიდი ძალისხმევა და ფინანსები სჭირდება.

„სკოლაში სხვადასხვა სახის პრობლემაა. ზოგჯერ მასწავლებლების არაკეთილსინდისიერება, ზოგჯერ მშობლის რთული მენტალიტეტი და, რა თქმა უნდა, არასკმარისი განათლების დონე სკოლებში — ყველაფერს რეპეტიტორთა საჭიროებასთან მივყავართ. თუმცა აღნიშნულ პრობლემას მოაგვარებს არა თავად რეპეტიტორობის აკრძალვა, რაც შეუძლებელია, არამედ საგანმანათლებლო პოლიტიკის შეცვლა. სხვანაირად ჩრდილოვანი ეკონომიკის არამარტო ეს მიმართულება, არამედ სხვა მიმართულებებიც მუდმივად განვითარდება და ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს“, — განმარტავს მურღულია.

ავტორი სალომე ლემონჯავა

მიკერძოებული ავტორი ცენზურას ითხოვს!



ქართული პრესა რომ მოწოდების სიმაღლეზე არ დგას, იოლად გასაცნობიერებელია. მეტიც, იგი ემსახურება ადამიანებში ყოველგვარი ნეგატივის გაღვივებას, ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების წახალისებას, ტერორიზმის წაქეზებას და ანტიეროვნული იდეების დანერგვას.

ერთი შეხედვით მათგან გამოირჩეოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, მხოლოდ ერთი შეხედვით. ეს გაზეთიც ემსახურება რუსეთუმეებსა და ანტიქართული ინტერესების შემცველ მოსაზრებებს.

მკითხველმა თემიდან გადახვევად არ უნდა ჩამითვალოს, თუ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას შევეხები, რაც სტატიაში გამოთქმული მოსაზრებების პასუხის გაცნობიერებაში დაგვეხმარება.

როგორც დადგენილია, ქართველი ხალხის, მისი წინაპრების არსებობა მოითვლის სამი ათას წელს. რაც უნდა ვეცადოთ და ჩვენი ერის ასაკოვნება გავზარდოთ, არაფერი გამოგვივა.

ქართველი ერის წინაპრები სამხრეთ კავკასიაში მოვიდნენ სამი ათასი წლის წინ. საიდან მოვიდნენ, ჯერ არავის დაუდგენია. ზოგადად თუ ვიტყვით — სამხრეთიდან. საერთოდ, ინდო-ევროპული ხალხები, სემიტები ადრეულ საუკუნეებში სახლობდნენ ინდოეთის ჩრდილოეთით — ეჭირათ დღევანდელი ავღანეთის, ირანის, ერაყის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველთა უძველესი წინაპრები ამ ხალხებთან ერთად თანაცხოვრობდნენ, ამიტომ გასაკვირი არ არის ის გარემოება, რომ მათ ამ თანაცხოვრების პირობებში ერთმანეთისგან „ისესხეს“ ლექსიკის გარკვეული ნაწილი.

ზოგი უმეცარი შენიშნავს რა ერთნაირ სიტყვებს ქართულსა და სხვა ენებში, უმალვე წამოიძახებს: ყველა ენა ქართული ენიდან წარმოდგება! ამ ლოგიკით ყველა ხალხს შეუძლია თქვას, რასაც ზოგი ჩვენი გაუნათლებელი თანამემამულე საქვეყნოდ აცხადებს.

ტრადიციულად მიღებულია, რომ ქართული ასოები შემოღებულია მეოთხე საუკუნეში. შეიძლება ეს თარიღი ზუსტი არ იყოს, მაგრამ ვამტკიცოთ ის, რომ ქართული დამწერლობა არსებობდა გამყინვარებამდე, მარტივად რომ ვთქვათ, არასერიოზულია.

ქართული ენა, დამწერლობა, კულტურა, რასაკვირველია, უნდა განვიხილოთ სხვა, თანამცხოვრებ ხალხების ისტორიასთან ერთად. მათგან მოწყვეტილად განხილვა, რა თქმა უნდა, პროვინციალიზმის უკიდურესი გამოვლენაა.

ბევრმა არ იცის, რომ ქართულ ენას შეზავებულს უწოდებენ, ისე როგორც, მაგალითად, რუსულს, ფრანგულს და სხვებს.

ერთი რუსი ენათმეცნიერი დანანებით მეუბნებოდა — რუსულ ენაში ათასი სიტყვა მაინც სუფთა რუსული იყოს, გავიხარებდიო.

ქართულ ენაში ძირითადად შემოჭრილია სპარსული, არაბული და თურქული სიტყვები. ამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით.

იმისთვის, რომ ზოგმა პირმა ავტორიტეტი მოიპოვოს გულუბრყვილო ადამიანებში, მოჩვენებითი სიამაყით აცხადებს: ჩვენ განსაკუთრებული ერი ვართ, ენაც განსაკუთრებული გვაქვს, მიწაც ხომ ღმერთებმა გვაჩუქესო.

ამ ბაქიებმა ის კი არ იციან, რომ საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ ერთი/მესამედია დასახლებისათვის ვარგისი, მაშინ როცა აშშ-ის სავარგულების ორმოცი პროცენტი ყოველგვარი სასუქებისა და მორწყვის გარეშე უხვ მოსავალს იძლევა.

იმოგზაურეთ ინდოეთში, ევროპაში, ამერიკასა და დედამიწის სხვა მხარეში — დარწმუნდებით იმაში, რომ სხვა ქვეყნებს ჩვენზე უკეთესი ბუნებაც კი გააჩნია. ბევრზე უკეთესი ბუნება გვაქვს, ბევრზე — უარესი. ამაში არაფერია გასაკვირი.

— მსოფლიოს გამოჩენილი თეორეტიკოსების აზრით სტალინის და ბერიას კულტს საფუძველი ჩაუყარეს ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა. ეს შავი ლაქაა ერის ისტორიაში.

სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურა მსოფლიოში ცნობილი არაა. არც ერთ ქართველ მწერალს ან პოეტს საზღვარგარეთის ლიტერატორები არ იცნობენ. ამას მე დაბეჯითებით ვაცხადებ, მაშინ როცა პატარა ესტონეთისა და მთებში განთავსებული ყირგიზეთის ლიტერატურას მოწიწებით მოიხსენიებენ. ყველაფერი ეს სამართლიანი არის თუ არა, ამაზე მსჯელობა სხვა დროისთვის გადავდოთ.

საქართველოში ამგვარი ცრუ ლეგენდა ვრცელდებოდა — თითქოს ალენ დელონს ბალიშის ქვეშ ვაჟა ფშაველას ლექსების კრებული აქვს ამოდებული და ძილის წინ კითხულობსო. როდესაც ცნობილი მსახიობი საქართველოში ჩამოვიდა, ჟურნალისტებმა უმალვე მსახიობს ასეთი შეკითხვა დაუსვეს: რის გამო შეიყვარეთ ვაჟა ფშაველა? — განცვიფრებულმა ალენ დელონმა დასმულ კითხვას ასე უპასუხა: ადრე საქართველოს ნაკლებად ვიცნობდი, ხოლო ქართულ მწერლობაზე წარმოდგენა არ მაქვსო.

ერთმა ნაცნობმა ასეთი რამე მიამბო: გერმანიაში ვიყავი, მინდოდა საქართველოში გამომგზავრება, მაგრამ აეროდრომის მიგნება გამიჭირდა. ვისაც კი ვუთხარი აეროდრომის გზა მიმასწავლე — ყველა თავს აქნევდა, — ვერ გაეგოთ ჩემი თხოვნა, მოგეხსენებათ, გერმანულად აეროდრომს სუფთა გერმანული სახელი ჰქვია. ვერც ის გაიგეს ვინ ვიყავი, საიდან ჩამოვედი.

ეს შემთხვევა რომ მოვყევი საქართველოში, ერთმა მსმენელმა ასე მომიგო — მაგ არიფს ეხსენებინა რუსთაველი და ყველანი შემოეხვეოდნენ, აეროდრომზეც წაიყვანდნენ და კაი პურმარილსაც აჭმევდნენო.

ქართველი ცრუმეცნიერები და ცრუმწერლები გულუბრყვილო ხალხს შთააგონებენ, რომ საქართველო ყველამ კარგად იცის, ხოლო ჩვენი მწერლობა უპირველესია მსოფლიოში, ჩვენმა სახელოვანმა სტალინმა მსოფლიო განაცვიფრა. ჭავჭავაძეზე რომ არაფერი ვთქვათ, ის ხომ კაცობრიობის პრეზიდენტად გამოდგებოდაო.

ამიტომაც არის, ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს სერიოზულად არავინ ელაპარაკება. ეს დადგენილი სინამდვილეა.

რუსებმა კარგად იციან, რომ კიევის რუსეთი, მათი ისტორიაც არის, მაგრამ რუსული სახელმწიფოს თარიღად მიიჩნევენ 1383 წელს (თუ არ ვცდები), როდესაც დიმიტრი დონელმა დონზე მონღოლთა და სომეხთა ლაშქარი დაამარცხა.

აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ ქართველს — როდის დაარსდა ქართული სახელმწიფო — გიპასუხებს — უხსოვარი დროიდან.

საქართველოში კუთხური მოსაზრებების გამო, ანტიგმირები გმირებად არიან მონათლული, ცუდი საქმის მკეთებლები — კარგისა, ხოლო კარგის — ცუდისა და ასე ყველაფერი შებრუნებულად. მაგალითად, სტალინი საქართველოს მამად არის მიჩნეული, ხოლო ურაპატრიოტები ანუ ავანტიურისტები გმირებად.

ამ გარემოებას კარგად იყენებენ გაზეთები, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“ და თავიანთ ფურცლებს უთმობენ რუსეთის ნებაყოფლობით ჯაშუშებს. მაგალითად „საქართველოს რესპუბლიკა“ წინა გვერდს უთმობს „ოცნებისადმი“ დითირამბებს და სააკაშვილის ძაგებას, შემდეგი გვერდები დათმობილი აქვს ზემოხსენებულ ჯაშუშებს, სტალინის ქებას და ნოე ჟორდანიას აუგად ხსენებას. გაზეთის პოლიტიკა გასაგებია — ოცნებობენ, საქართველო როდის აღმოჩნდება რუსეთის მპყრობელობაში. როდესაც რუსული სახელმწიფოს ყველა ბოროტებას ამართლებ და ის მიგაჩნია კაცობრიობის გადამრჩენად, შპიონი ხარ, აბა, რას წარმოადგენ.

როგორც ცნობილია, „საქართველოს რესპუბლიკა“ დამოუკიდებელი საქართველოს (1918-2116.ნ.) მთავრობის გაზეთი იყო. გამოხატავდა მის პოლიტიკას, ხოლო დღევანდელი „საქართველოს რესპუბლიკის“ პოლიტიკა რუსეთუმეების ინტერესების გამომხატველია.

ერთხელ თანამოსაუბრესთან ასეთი რამ განვაცხადე: ხსენებული გაზეთის მესვეურთა გამო, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (ნოე ჟორდანია) საფლავში მრავალჯერ გადაბრუნდება. თანამოსაუბრემ კი წაიხუმრა კიდეც (თუმცა რა გვეხუმრება): ალბათ, ზრუნავენ ჟორდანიას ჯანრთელობაზე — ნაწოლები არ გაუჩნდეს.

თუმცა, ზემოხსენებულმა გაზეთმა ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა — გამოავლინა რუსეთის ნებაყოფლობითი ჯაშუშები — მაგალითად, მხეიძე და ჭიპაშვილი.

როგორ უნდა მოიქცეს ქართველი ხალხი და ხელისუფლება ამ შემთხვევაში? როგორც იქცევიან, საერთოდ, სახელმწიფოები — მკაცრად სჯიან ჯაშუშებს და მათ მფარველებს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ იმ გაზეთების თანამშრომლებიც, რომლებიც ჯაშუშებს უთმობენ თავიანთ ფურცლებს.

მიკვირს, რომ იტყვიან, ძალიანაც... ნუთუ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ვერ აცნობიერებს იმას თუ ვისთან აქვს საქმე — ჭიპაშვილისა და მხეიძის სახით.

რაც შეეხება რუსეთის სოსოიას (არ აგერიოთ სოსოიას რუსში) რომ ეფარება ზვიადის სახელს. ზვიადისტებში მე სრულიად არ ვგულისხმობ ბატონ ზვიადს. ეს ის ხალხია, რომელმაც დაღუპეს ზვიადი. ამას კარგად აცნობიერებს მისი შვილები და ახლო ნათესავები. როდესაც რუსეთის სოსოია და საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრების მაგინებელი ჩხეიძე ზვიადს დაიცავს, — ეს მისი სახელის შეურაცხყოფაც არის. მე თუ ზვიადს ვაკრიტიკებ, არალოგიკურია. ცნობილია, გამსახურდია, შეიძლება ითქვას, დაუძინებელი მტერი იყო, სტალინის ბერიას და რუსეთუმეების, რაც ჩემი მრწამსის თანხვდენილია. გამოდის, მე, საკუთარი მრწამსის წინააღმდეგ მივდივარ. პირადად მე გამსახურდიასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა.

რაც შეეხება იმ „ფაქტს“, თითქოს მე რუსეთის სოსოიას ავტომატით მივუხტი, მტკნარი სიცრუეა. ავტომატი ხელში არასოდეს მჭერია. მაგრამ, როდესაც სამშობლოს რუსეთუმეების, ჯაშუშების საყვარელი რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტს დაემუქრა, დაჩქარებული ტემპით სროლაც ვისწავლე და ავტომატით ხელში სამშობლოს ვიცავდი.

ომის წარმოშობის მიზეზების განხილვას აქ არ შევუდგები, — ეს სხვა დროისთვის გადავდოთ.

ვფიქრობ, ზემოაღნიშნული ჭეშმარიტებანი მცირე რე-

ეს უკვე აღსაფოთებელია!

მართალია, ლენინი მტერი იყო საქართველოსი, და საერთოდ, კაცობრიობის, მაგრამ იგი აღიარებულია კაცობრიობის ისტორიაში, როგორც სახელმწიფოს ყველაზე დიდი მმართველი. ისიც ცნობილია, რომ სტალინი ყელგამოწეული ეხვეწებოდა ლენინს, რათა საქართველოს დასაპყრობად წითელი არმიის ურდოები დაეძრათ.

რუსეთუმეებიც ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ სტალინის უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ოლქი.

რაც შეეხება დანელიას — ბოლშევიკი ლიდერების თაყვანისმცემელს... საჯაროდ, თქვენი გაზეთის მეშვეობით, ბოდიშს მოვიხდი თქვენ და ყველა ჯაშუშის წინაშე, თუ ჩემ სტატიაში სინამდვილის დამახინჯების თუნდაც ერთი ფაქტი აღმოჩნდება. ჩანს, დანელიამ ასაკის გამო, ვერ წაიკითხა სტალინის მე-5 ტომი. ეს ტომი, მართლაც — ქართველების ლანძღვა-გინებით არის გაჯერებული. თუ ის ვერ ერკვევა მოვლენებში, თქვენ, რედაქციის თანამშრომლებმა, მიუხედავად იმისა რუსეთის ჯაშუშების თანამეინახეები ბრძანდებით, კითხვა ხომ იცით.., აიღეთ ავადსახსენებელი სტალინის ტომი და მასში გარკვეულად წერია ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები... სტალინი ასმენს ლენინთან მახარაძეს, რომ ის ჟორდანიაზე მეტი ნაციონალისტია... თუ ჟორდანია სხვა ერის წარმომადგენლებს ოფიციალურად ასახელებდა საქართველოდან, მახარაძე ფარულად, მზაკვრულად იგივეს სჩადისო. ქართველები ჩაგრავენ აჭარლებს.. აჭარას უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი... სწორია ისიც, რომ სტალინმა საქართველოს ზურგში დანა ჩასცა, როდესაც „პრავდის“ მეშვეობით მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: საქართველო ცდილობს თურქეთის და მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცებას, დამოწმებული „პრავდის“ ნომერი არ მახსოვს. ისე კი, ჩემი ვარაუდით, ხსენებული „პრავდის“ ნომერი უნდა გამოსულიყო 1919 წლის 14 მარტის მახლობლობაში. სწორედ ამ დღეს მაშინდელმა მთავრობამ პარიზის კონფერენციას საქართველოს საზღვრების აღიარების მოთხოვნის წერილი გაუგზავნა, რასაც მოჰყვა სტალინის ხსენებული განცხადება.

მე-5 ტომში კი ასე წერია: საქართველოს სურს თავისი ტერიტორიის გაზრდა თურქეთის, სომხეთის და მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე. ვგონებ, მე-19

გვერდზე. მომეცით ერთი კვირის ვადა, კვლავ გადავიკითხავ მე-5 ტომს და ყველაფერს ამოვიწერ.

ცილისწამებისთვის სასამართლოს მიერ ან მე უნდა დავისაჯო, ან თქვენ. დანელიას ყველაფერი ეპატიება. ერთი უბირი კაცია. პირი, რომელიც ბერიას და სტალინს პატრიოტად წარმოადგენს, მასზე რაღა უნდა ითქვას.

„ჯაშუშებო, სწორება დემოკრატიული ევროპისკენ“ ეს რა სათაურია?! თანაც გაზეთის ვებ-გვერდზე გამოტანილი. გამოდის ხელისუფლება, მთლიანად მისი შემადგენლობა ჯაშუშია. ამას ჰქვია ფლიდობა. თითქოს „ოცნების“ მხარდამჭერი ბრძანდებით, სინამდვილეში მისი დაუძინებელი მტერი ხართ. მხეიძისა და ჭიპაშვილის მეშვეობით მიწასთან ასწორებთ ამჟამინდელ ხელისუფლებას. უუნარო, მოუქნელი, თანამედროვე პოლიტიკის უცოდინარნი და სხვა. აი, ის ტერმინოლოგია, რასაც ხსენებული ჯაშუშები იყენებენ ხელისუფლების დასამუნათებლად.

იმასაც ვწერ, თუ ჯაშუშებს ამიერიდან არ დაუთმობთ გაზეთის ფურცლებს, თქვენს ანტიეროვნულ საქმიანობას არ გავახმაურებ, რასაკვირველია, ამას ანგარების გამო არ გავაკეთებდი. ვშიშობ, ფაქტების გახმაურებით მავანთა წისქვილზე წყალი არ დავასხა, ხომ ვიცით, მათი ინტრიგნული ხასიათი უმალვე, განგაშს ატეხენ: ხელისუფლება ხელს აფარებს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში ჩანერგილ გაზეთს. ამიტომ, ნებისყოფის გამოჩენით ამიტანია ჭუმბურიძისა და დანელიას შეურაცხმყოფელი გამოხდომები და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არსად კრინტსაც არ დავძრავ. თუ თქვენი გაზეთის ფურცლებს არ დაუთმობთ რუსეთის ჯაშუშებს. მათი გაგებით კი – რუსეთუმეების მოსაზრებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომიწევს ჩემი სტატია – თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული, აგრეთვე გაზეთის ის ნომერი, სადაც, პირიქით სხვას სდებთ ბრალს ჯაშუშობაში, საჯარო გავხადოთ სათანადო კომენტარებით.

წინამდებარე სტატიას აუცილებლად გამოაქვეყნებთ, ვინაიდან სრული უფლება მაქვს ჩემს შეურაცმყოფელ ავტორებს ვუპასუხო. საყოველთაოდ ასეა, თუ ვინმეს მიმართ იწერება კრიტიკული სტატია, რედაქცია მოვალეა საპასუხო წერილი გამოაქვეყნოს. ამ წესის დარღვევა არავის ეპატიება.

მავიწყდებოდა – ალეკო ასლანიშვილი და ოთარ ხუციშვილი ჭეშმარიტი ქართველები არიან, ამიტომ თქვენს გუნდში მათ არც მოვიაზრებ. მართალია, თქვენთან მუშაობენ, მაგრამ რა ქნან, ოჯახი ჰყავთ სარჩენი...

თუ მე სრულიად სიმართლეს არ ვლაღადებ, ამ საქმის კარგი სპეციალისტები მოიწვიეთ. მაგალითად, პროფესორი ვახტანგ გურული დ საქვეყნოდ აღიარებული თეორეტიკოსი, ყოფილი პოლიტპატიმარი ვაჟა ჟღენტი. სწორედ ისინი გაარკვევენ, ჩვენ შორის ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჭუმბურიძე ყელგამოწეული ეხვეწება თბილისის მერს – ბატონ კახა კალაძეს, რათა ფინანსები გაიღოს საკუთარი გაზეთის დაარსებისთვის. ჯერ ერთი, როგორ თხოვ ჯაშუშების მფარველი გაზეთის თანამშრომლებთან მეგობარი პირი, რომელიც ხმას არ იმაღლებს იმის გამო, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ქვეყნდება ისეთი სტატია, რაც ქართულ ხელისუფლებას უუნაროს უწოდებს. ბატონი კახაც ხომ ხელისუფლების წარმომადგენელია.

დავუშვათ, მოხდა სასწაული და კალაძემ რუსეთის სოსოიას გაზეთი დაუფინანსა, მაშინ, მისი გაზეთიც „საქართველოს რესპუბლიკის“ იდენტური გახდება.

ბატონი კახა ამის შესახებ საქმის კურსში უნდა იქნეს ჩაყენებული!

რასაკვირველია, ჭუმბურიძეს არ მოეწონება, მას რომ რუსეთის სოსოიას ვუწოდებ. მითხარი, რომელ გაზეთთან მეგობრობ და გეტყვი – რა მრწამსისა ხარ.

არჩილ იოსელიანი

რედაქციისგან:

„საქართველოს რესპუბლიკა“ უცვლელად (იგულისხმება სათაურიც), ავტორის აშკარად აგრესიული „სტილის“ დაცვით სთავაზობს მკითხველს „ქართული პრესის მოწოდების სიმაღლის“ უძონლობის და სხვა ათასი უბედურების (ნეგატივის გაღვივება, ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების წახალისება, ტერორიზმის წაქეზება, ანტიეროვნული იდეების დანერგვა) „მამხილებელი“ ა. იოსელიანის „ნააზრევს“.

აგრესიული მეზობლის შიშით განვითარება არ უნდა შევაჩეროთ!

რას ფიქრობენ ქართველი ექსპერტები ლარსისკენ მშენებარე ახალ გზაზე

საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებული ყაზბეგი-ზემო ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტის მიმართლებით ახალი გზა და საქართველოში ყველაზე გრძელი გვირაბი შენდება. პროექტის განხორციელება 2000-მეტრიანი გვირაბის გაყვანით დაიწყო.

პროექტი მოიცავს ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობას, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ავტომაგისტრალის ნაწილი გახდება და სატრანზიტო მოძრაობისთვის იქნება გამოყენებული.

ამ მიზნით 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 53 მლნ ლარი (21,6 მლნ აშშ დოლარი) გამოიყო.

„გზის მთლიანი სიგრძე 23 კმ იქნება, მათგან 9 კმ გვირაბებზე მოვა. მსგავს პროექტს ფაქტობრივად, პირველად ვახორციელებთ. ამით შევძლებთ, სატრანზოტო მანქანებისგან განვტვირთოთ მლეთა–კობის გზა, რათა ამი გზით სარგებლობა კურორტ გუდაურისკენ მიმავალმა ტურისტებმა უფრო კომფორტულად შეძლონ. გუდაურისკენ გზა კეთილმოწყობილი შენარჩუნდება. ამასთან, შევინარჩუნებთ ჯვრის უღელტეხილს“, – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ზურაბ ალავიძემ** ტელეკომპანია „TV პირველთან“ საუბრისას.

მოსკოვს უამისოდაც არავითარი პრობლემა არ გააჩნია იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ რუსეთს, ფაქტობრივად, საქართველოს ცენტრში უზარმაზარი ბაზა აქვს. ამას ემატება აფხაზეთში არსებული ბაზა, საზღვაო შესაძლებლობები ყირიმის მხრიდან, საჰაერო დესანტი და ა. შ. ამდენად, თუ ავყვებით რუსეთის შემოჭრის შიშს, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ასევე, მაგალითად, მთისა და კურორტების განვითარებაზე...

პროექტის დასრულება 2021 წლისთვისაა დაგეგმილი.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ავტომაგისტრალი სადღეისოდ ერთადერთი მოქმედი გზაა, რომელიც საქართველოსა და სომხეთს რუსეთთან აკავშირებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის წინაშე გაახმოვანა ინიციატივა, ფორსმაჟორულ სიტუაციებში სომხეთიდან მომავალი ტვირთები რუსეთში ოკუპირეული რეგიონების – აფხაზეთისა და ე.წ.სამხრეთ ოსეთის გავლით დაიშვას.

„აქცენტი“ დაინტერესდა, რა სარგებლისა და რისკების მომტანი შეიძლება, იყოს საქართველოსთვის მინისტრ ალავიძის მიერ დაანონსებული ამ ძვირად ღირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა? ამ კითხვით ექსპერტებს მივმართეთ.

ანალიტიკოსი სამხედრო–პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, ბრიგადის გენერალი **ამირან სალუქვაძე:**

„რა თქმა უნდა, შეიძლება საუბარი იმ თემებზე, რომ ეს რუსეთის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში საქართველოს მეტად მოწყვლადს გახდის, თუმცა მოსკოვს უამისოდაც არავითარი პრობლემა არ გააჩნია იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ რუსეთს, ფაქტობრივად, საქართველოს ცენტრში უზარმაზარი ბაზა აქვს. ამას ემატება აფხაზეთში არსებული ბაზა, საზღვაო შესაძლებლობები ყირიმის მხრიდან, საჰაერო დესანტი და ა. შ. ამდენად, თუ ავყვებით რუსეთის შემოჭრის შიშს, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ასევე, მაგალითად, მთისა და კურორტების განვითარებაზე... ნებისმიერი გზა, რომელიც საზღვართან ახლოსაა, სამხედრო თვალსაზრისით როგორც ჩვენს მიერ, ასევე მტრის მიერ შეიძლება, იქნას გამოყენებული. მაგალითად, სამხედრო საფრთხე აზერბაიჯანიდან მომავალი ავტობანის კუთხითაცაა, რომელიც, ფაქტობრივად, კასპიისა და შავ ზღვებს აერთიანებს. ჩვენ უამრავ თანხას ვხარჯავთ ამ ავტობანის განვითარებაზე.

ჩვენ ასეთი არჩევანის წინაშე ვართ: ერთი მხრივ, რუსეთის შიშის საფრთხე, მეორე მხრივ, განვითარება. თუ ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ეს რეგიონი განვავითაროთ, მაშინ ხარჯები უნდა გავიღოთ, რომელიც პატარა არ იქნება.

რაც შეეხება ამ საქმეში სომხეთის, კერძოდ, მისთვის ე.წ. ბლოკადის მოხსნის ფაქტორს, რომელზეც პროექტის ოპონენტები საუბრობენ, საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარებას, რა თქმა უნდა, სომხეთისთვისაც მოაქვს სარგებელი, რაც შესაძლოა, ჩვენს აზერბაიჯანელ პარტნიორებს აღიზიანებდეთ. მაგრამ, როგორც ცნობილია, პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენ, არსებობენ სახელმწიფოები საკუთარი ინტერესებით. რიგ სახელმწიფოებთან მეტ-ნაკლებად შეჯერებული გვაქვს ურთიერთობები და ინტერესები. რიგ სახელმწიფოებთან ამ ძირეულ ინტერესებს ვერანაირად ვერ ვაჯერებთ. აქ, პირველ რიგში, რუსეთი იგულისხმება. ჩვენთან მიმართებაში საკუთარი ინტერესები სხვა მეზობელ სახელმწიფოებსაც გააჩნიათ. სომხეთს რაც შეეხება, ჩვენ გვაქვს ორი ვარიანტი: ერთი – დავკეტოთ და მოვაქციოთ იზოლაციაში, მეორე – ამის საპირისპირო.

რომ შევაჯამოთ, არსებობს რისკები და ამ რისკებისთვის მომზადებაა საჭირო. ამ რისკებისთვის არსებობს თავდაცვის სხვა მიმართულებები, რომელიც ტერიტორიულ თავდაცვას ემსახურება და ა. შ. მათ ამაზე აქტიურად უნდა იმუშაონ. მე არა მგონია, რომ მთავრობა ამ ყველაფერს არ უყურებდეს. ან უნდა განვავითაროთ იქ ინფრასტრუქტურა, ან უნდა ვიყოთ იმ ერთ გზაზე დამოკიდებული, რომელიც პერიოდულად იკეტება ხოლმე და არა მხოლოდ სომხებს, არამედ ჩვენც გვიქმნის პრობლემას“.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი **თორნიკე შარაშენიძე:**

„სარგებლის მხრივ მეტი ტურისტი შემოვა და მეტი ტვირთის ბრუნვა განხორციელდება.

რისკების მხრივ, თბილისიდან 40 კმ-ში ხომ ისედაც დგას რუსეთის ბაზა.

რაც შეეხება სხვა მეზობლებს, ჩემი აზრით, ეს გზა არც აზერბაიჯანის და არც თურქეთის განაწყენებას გამოიწვევს. ისინი განაწყენდებიან იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ტვირთები გაივლის და მომარაგდება სომხეთში რუსული ბაზა. მაგრამ ეს ხომ ჰუმანიტარული, ეკონომიკური დერეფანი იქნება და მსგავსი ტვირთების ბრუნვა, უკაცრავად, მაგრამ ჩვენი და სომხების საქმეა“.

სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი **ირაკლი ალადაშვილი:**

„საერთოდ, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს ნებისმიერი ქვეყნისთვის, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ერთ-ერთი სწორი მიმართულებაა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აქ გარკვეული ნიუანსები იჩენს თავს, რადგანაც ეს გზა კეთდება იმ მიმართულებით, საიდანაც საქართველოს საფრთხე ემუქრება და ჩვენ რეალურად ვიხილეთ ეს საფრთხე 10 წლის წინათ. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის რისკები, რაც შეიძლება, რუსეთიდან მოდიოდეს. რა თქმა უნდა, ყველაფერს წინასწარ ვერ განსაზღვრავ, თუმცა ძირითადი რისკები უნდა გათვალო. რთული სიტუაციაა. ამიტომ ბევრჯერ დაფიქრება და ყველა რისკის განსაზღვრაა საჭირო. აქ არც პოპულიზმი ვარგა და არც პოლიტიკური თამაშები. ეს გზა ერთი დღით არ კეთდება და ჩვენს მომავალ თაობებს რჩება.

თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ასეთი გზის ან გვირაბის ჩაკეტვა სირთულეს არ წარმოადგენს. როგორც წესი, მთაგორიან ადგილებში გამავალი გვირაბებისა და გზების ჩაკეტვა მარტივია. საინჟინრო საშუალებებით წინასწარ იმის გათვალისწინება, რომ როცა რაღაცას აშენებ, როგორ გამოიყვანო ის მწყობრიდან, ან შეაჩერო მისი ფუნქციონირება, რომ სავარაუდო მოწინააღმდეგემ არ ისარგებლოს, ეს ყოველთვის შეიძლება“, – დასძინა ალადაშვილმა.

მარიკა ჩუბინიძე

რუსეთის მხარის მიზანმიმართული პროვოკაცია

საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 43-ე რაუნდთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„მიმდინარე წლის 27-28 მარტს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 43-ე რაუნდი, რომლის ფარგლებშიც განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენდა არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის უკანონო ხელყოფა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრული დაცვით, რის აუცილებლობაც კიდევ ერთხელ ნათლად გამოიკვეთა ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით.

თანათავმჯდომარეებმა და მონაწილეებმა საქართველოდან და აშშ-დან დაგმეს იძულებით გადაადგილებული პირის არჩილ ტატუნაშვილის უკანონო დაკავება და სიცოცხლის ხელყოფა. მათ არაჰუმანურ ქმედებად შეაფასეს ოჯახისათვის ცხედრის გადაცემის თითქმის ერთი თვით დაყოვნება. მონაწილეებმა საქართველოდან ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ტატუნაშვილის წამება და მკვლელობა არის გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის სიცოცხლის უკანონო ხელყოფის ფაქტებზე რუსეთისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების მხრიდან უმოქმედობის და ამ გზით ეთნიკური ქართველების მიმართ ძალადობის წახალისების შედეგი. ქართველმა მონაწილეებმა მომხდარზე სრული პასუხისმგებლობა დააკისრეს რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპირებულ რეგიონებში ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალას. მონაწილეებმა საქართველოდან რუსეთის ფედერაციას მოუწოდეს არ შეუქმნას დაბრკოლება გამოძიებას, რათა შესაძლებელი გახდეს დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა. მათ ასევე ხაზი გაუსვეს გიგა ოთხოზორიას მკვლელის დაუყოვნებლივი დაკავების აუცილებლობას.

ამ ფონზე მონაწილეებმა საქართველოდან ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის საჭიროება, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით.

ინტენსიური დისკუსია შედგა ძალის არგამოყენების შესახებ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების განცხადების პროექტთან დაკავშირებით. მონაწილეებმა საქართველოდან კვლავ განმარტეს, რომ აღნიშნული განცხადების მიღება უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ მიზანს, კერძოდ, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების პროცესის დაწყებას. ქართველი და ამერიკელი მონაწილეების მიერ ხაზი გაესვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურებისა და მისი შესრულების უზრუნველყოფის აუცილებლობას. რუსეთის ფედერაციამ გამოიჩინა დესტრუქციული მიდგომა და მიზანმიმართული პროვოკაციული განცხადებებით მიმდინარე რაუნდზე ჩიხში შეიყვანა მოლაპარაკებები ძალის არგამოყენების საკითხზე.

მოლაპარაკებების დროს დეტალურად იქნა განხილული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მხრივ შექმნილი რთული მდგომარეობა. მონაწილეებმა საქართველოდან დაასახელეს რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის ფაქტები. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე მილიტარიზაცია და უკანონო სამხედრო წვრთნები შეფასდა როგორც ადგილზე ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობა. მონაწილეებმა საქართველოდან შეშფოთება გამოთქვეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ფაქტობრივი ანექსიისაკენ რუსეთის ფედერაციის მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო. განხილულ იქნა საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის ე.წ. „გადასასვლელი პუნქტების“ დახურვის, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვისა და სხვა დისკრიმინაციული ზომების მძიმე შედეგები ადგილობრივი მოსახლეობისთვის. აღინიშნა, რომ უკანონო დაკავებებისა და გატაცებების პრაქტიკა ისევე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე წვდომის შეზღუდვა, ხელს უწყობს ადგილზე დაძაბულობის განვითარებას.

განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო ოკუპირებულ რეგიონებში ქართველების ეთნიკური დისკრიმინაციის გაძლიერება, განსაკუთრებით გალისა და ახალგორის რაიონებში. მონაწილეებმა საქართველოდან დააყენეს აფხაზეთის რეგიონის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის იძულებით დარეგისტრირება უცხოელებად და მათი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შემდგომი შეზღუდვა, რაც წარმოადგენს ეთნიკური წმენდის გაგრძელებას. მათ ხაზი გაუსვეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ეთნიკური ქართველების კერძო საკუთრების განადგურების ფაქტებს. განხილულ იქნა ასევე გალისა და ახალგორის რაიონებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

თანათავმჯდომარეებმა და მონაწილეებმა საქართველოდან და აშშ-დან ხაზი გაუსვეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხზე — იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე — საგნობრივი განხილვების აუცილებლობას. რუსეთის ფედერაციამ და მისმა საოკუპაციო რეჟიმებმა კვლავ მოახდინეს ჰუმანიტარული თემების პოლიტიზება და დევნილთა საკითხის განხილვისას დატოვეს მოლაპარაკებები“, — ნათქვამია განცხადებაში.

მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი 2018 წლის ივნისში გაიმართება.

თავშესაფრის მაძიებელნი – მთავარი საფრთხე საქართველო-ევროკავშირის ღია საზღვრებისთვის

„BBC“-ს მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება ევროკავშირის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული უვიზო რეჟიმის ძალაში შესვლის წლისთავს: მასში საუბარია როგორც ვიზალიბერალიზების დადებით მნიშვნელობაზე, ასევე იმ უარყოფით ტენდენციებზე, რომლებიც თან ახლავს უვიზო რეჟიმს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ძართულენოვან რეზიუმეს:

„ერთი წლის განმავლობაში, 2017 წლის 28 მარტიდან შენგენის ზონის საზღვრები 240 ათასმა საქართველოს მოქალაქემ გადაკვეთა, მაგრამ ვიზალიბერალიზაციის პირველი წლისთავის შედეგებს თან ერთგვარი ჩრდილიც ახლავს: მზარდი ნაკადი იმ ადამიანებისა, რომლებიც ევროკავშირში თავშესაფრის მიღებას ითხოვენ. ამგვარი მოქმედება უვიზო რეჟიმს საფრთხეს უქმნის“, — აღნიშნულია სტატიაში.

„იმ ქვეყნისთვის, რომელიც სამომავლოდ ევროკავშირში გაწევრიანება სურს, ვიზების გაუქმებას, პრაქტიკული მნიშვნელობის გარდა, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ ბოლო დროს შეიმჩნევა ნეგატიური ტენდენცია, რაც თავშესაფრის მიღების მთხოვნელებისა და დანაშაულის ჩამდენთა რაოდენობის ზრდაში გამოიხატა. განგაში პირველმა გერმანიამ ატეხა, რომელმაც მწვავედ აღიქვა ქვეყანაში შესული საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დანაშაულებანი, შემდეგ კი ამას თავშესაფრის მიღების თხოვნების სწრაფი ზრდაც დაემატა. იგივე ტენდენცია შეინიშნება ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც, ნორვეგიაში და შვეიცარიაში, რომლებსაც მიმდინარე წლის იანვარში 1859-მა საქართველოს მოქალაქემ მიმართა თავშესაფრის მიღების მიზნით“, — ნათქვამია სტატიაში.

„ბი-ბი-სი“-ს კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც ხშირად სარგებლობენ უვიზო რეჟიმის სიკეთით, ნორმალურად იქცევიან, წესებს არ არღვევენ და იმ ე.წ.„ლტოლვილებსაც“, რომლებიც ევროპაში თავშესაფრის მიღების იმედით წავიდნენ, ვერ მიიღეს და შემდეგ უკან დაბრუნდნენ.

პუბლიკაციაში გადმოცემულია საქართველოს ხელისუფლების მიერ უვიზო რეჟიმის დამრღვევთა წინააღმდეგ მიღებული ზომები. „მათგან ერთ-ერთია საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარება ევროკავშირის ქვეყნების მიერ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, საქართველო უსაფრთხო ქვეყნად ევროკავშირის უკვე რვა წევრმა აღიარა, რაც იმას ნიშნავს, რომ თავშესაფრის მთხოვნელმა წინასწარ იცის — მისი მცდელობა წარუმატებელი იქნება. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება“. თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტში მზადდება კანონპროექტი გვარის გამოცვლის პროცედურის გართულების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ევროკავშირში წასული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კრიმინალურ ქმედებაში იქნენ შენიშნული, დეპორტაციის შემდეგ გვარს იოლად იცვლიდნენ, შემდეგ ისევ ევროკავშირში ბრუნდებოდნენ და სამართალდარღვევებს აგრძელებდნენ.

„BBC“ (დიდი ბრიტანეთი)

სკრიპალები მათი სახლის შესასვლელთან დატოვებული ქიმიური ნივთიერებით მოიწამლნენ

სკოტლანდ იარდის კონტრტერორისტული განყოფილების გამომძიებლების დასკვნით, სკრიპალები მათი საცხოვრებელი სახლის შესასვლელ კართან დატოვებული სამხედრო დანიშნულების ნერვულ-პარალიტიკური ქიმიური ნივთიერებით მოიწამლნენ.

სპეციალისტებმა ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერების ყველაზე მაღალი კონცენტრაცია შესასვლელ კართან აღმოაჩინეს.

ჩინური კოსმოსური სადგური შესაძლოა, დედამიწას დაეცეს – საქართველოც რისკის ზონაშია

მწყობრიდან გამოსული ჩინური კოსმოსური ხომალდის ფრაგმენტები დედამიწას 30 მარტიდან 2 აპრილამდე პერიოდში დაეცემა. არსებობს რისკის ზონაში მყოფი ქვეყნები და მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც ფრაგმენტების დაცემის საფრთხე ემუქრება.

ასტრონომები, რომლებიც ხომალდს მთელი მსოფლიოდან აკვირდებიან, ვარაუდობენ, რომ სადგური ატმოსფეროში შემოსვლის შემდეგ მთლიანად დაიწვება, თუმცა არ არის გამორიცხული მისი ფრაგმენტები დედამიწაზე ჩამოვარდეს. რისკის ზონად სახელდება სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ტერიტორია, ევროპის სამხრეთი ნაწილი, აფრიკის ტერიტორია და კავკასიის რეგიონი. სპეციალისტების ვარაუდით, საფრთხე შესაძლოა, სოჭსა და ფლორენციას დაემუქროს.



სადგური ტიანგონგ-1, რომლის სახელიც „სამოთხედი“ ითარგმნება, 2011 წელს ამოქმედდა. ხომალდმა სამი მისია შეასრულა, თუმცა 2016 წელს კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლებმა მასზე კონტროლი დაკარგეს.

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1737 წლის 26 მარტს

ასტრახანში გარდაიცვალა 1725 წელს რუსეთში დიდი ამალით გადახვეწილი ქართლის მეფე ვახტანგ VI. იგი ქართლის

გამგებელი (ჯანიშინი) იყო 1703-1714 წლებში, მეფე — 1716-1724 წლებში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკანონმდებლო საქმიანობას, მეურნეობის აღდგენას (ხელახლა დაასახლა დაცარიელებული სოფლები, თბილისსა და გორში ააგო სასახლეები, ქარვასლები, განაახლა დიდი ხნის წინათ მოშლილი სარწყავი არხები, გამოაცოცხლა ვაჭრობა, ხელოსნობა, გააჩაღა დიდი კულტურული მოღვაწეობა, დააარსა პირველი ქართული სტამბა. დაადგა რუსული ორიენტაციის გზას, სამხედრო პოლიტიკური კავშირი დაამყარა პეტრე დიდთან, რამაც ვახტანგი ბოლოს უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო და იძულებული გახადა, სამშობლოს გასცილდა.

1968 წლის 27 მარტს

ვლადიმირის ოლქის კირჟაჩის რაიონში თვითმფრინავ МИГ-15 УТИ-ით საწვრთნელი ფრენის დროს დაიღუპნენ პირველი კოსმონავტი იური გაგარინი და მისი ინსტრუქტორის მოვალეობის შემსრულებელი, მფრინავ-გამომცდელი ვლადიმირ სერიოგანი.

1752 წლის 28 მარტს

განჯასთან (ახლანდელი აზერბაიჯანი) გაიმართა ქართლისა და კახეთის მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ბრძოლა ნუხის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ. ქართველთა ლაშქარი დამარცხდა.

2010 წლის 29 მარტს

მოსკოვის მეტროს სადგურებში „ლუბიანკასა“ და „კულტურის პარკში“ მოხდა ტერორისტული აფეთქებები. დაიღუპა 41 კაცი, 88 დაშავდა. ტერაქტებზე პასუხისმგებლობა დოკუ უმაროვმა აიღო.

1867 წლის 30 მარტს

ვაშინგტონში ხელი მოეწერა შეთანხმებას რუსეთის იმპერიის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ალიასკის მიყიდვის შესახებ.

1939 წლის 31 მარტს

გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში დაიბადა საქართველოს მომავალი პირველი პრეზიდენტი, მწერალი, მთარგმნელი, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ზვიად გამსახურდია.



◎ გამქრალი ცივილიზაციების ნაკვალევზე

უკიდურეს ჩრდილოეთში, იქ, სადაც ცხელა...

ლეგენდები იმის თაობაზე, თითქოს უხსოვარ დროს დედამიწაზე სხვა ცივილიზაციებიც არსებობდნენ, რომლებიც განვითარების დონით თანამედროვეს ბევრად აღემატებოდნენ, დიდი ხანია, კაცობრიობას მოსვენებას არ აძლევს. იმაში, რომ ასეთი ცივილიზაციები ნამდვილად იყვნენ და შემდგომ გაურკვეველ მიზეზთა გამო გაქრნენ, სერიოზული მეცნიერებიც კი არიან დარწმუნებული. თანაც ამ შემთხვევაში ლაპარაკი მარტო საყოველთაოდ ცნობილ ატლანტიდაზე სულაც არ არის.

წარსულის დიადი ცივილიზაციებიდან ყველაზე ადრეული მითი გამქრალი ჰიპერბორეის შესახებ მოგვითხრობს. მისი წარმოშობის დრო მიახლოებითაც უცნობია, მაგრამ ჩვ.წ.აღ-მდე მე-4 საუკუნეში ძველ ბერძნებს რამდენიმე თეორია ჰქონდათ ამ იდუმალი ქვეყნის წარმოშობის შესახებ, ამდენად, თამამად შეიძლება იმის მტკიცება, რომ თვით მითი გაცილებით ადრე წარმოიშვა. ლეგენდის თანახმად, სადღაც შორს ჩრდილოეთში, ბორეოსის იქით, ანუ იქ, საიდანაც ჩრდილოეთის ქარი უბერავს, უჭკვიანესი ადამიანებით დასახლებული ქვეყანა არსებობდა, რომლებმაც მეცნიერებასა და ხელოვნებაში ისეთ სიმაღლეებს მიაღწიეს, რომ თვით ამ სფეროთა მფარველი ღმერთი აპოლონიც კი, სხვადასხვა სასწაულის შესასწავლად, 19 წელიწადში ერთხელ იქაურობას სტუმრობდა.

ჩვ.წ.აღ-მდე მე-4 საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი **ფანოდემოსი** წერს, რომ „ჰიპერბორეა“ ქვეყანას ოდესღაც იქ ნამყოფმა ათენის ერთერთმა მცხოვრებმა შეარქვა, თორემ საკუთარ თავს ისინი რაღაც სხვა სახელს ეძახიან. პოეტი **ფერენიკოსი** კი ჰიპერბორეელებს ტიტანების შთამომავლებს უწოდებდა, რომლებიც მანამდე გაჩნდნენ, ვიდრე მათი წინაპრები ოლიმპოს მკვიდრებთან ომს წააგებდნენ.

აქედან გამომდინარე, ჰიპერბორეის შესახებ მითის წარმოშობის დროს, ირიბად ეს დეტალიც მიანიშნებს, რადგან მითი ტიტანებისა და ოლიმპოს მკვიდრთა ბრძოლის შესახებ ჯერ კიდევ ბერძნული ცივილიზაციის გარიჟრაჟზე წარმოიშვა.

გვიანდელი ბერძენი ისტორიკოსები ჰიპერბორელების აღწერას თავიანთ დეტალებს უმატებდნენ და მათ არა მარტო აპოლონის, არამედ სხვა ღმერთების რჩეულებადაც მიიჩნევდნენ, რომელთაგან თითოეული ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ეხმარება. ამის შედეგად, **ჩვენი ერის დასაწყისისთვის ჰიპერბორეა, ფაქტობრივად, დედამიწაზე სამოთხედ იქცა, სადაც გამუდმებით ლხენა და სიამტკბილობა სუფევს,** — სწორედ ასე აღწერს მას ისტორიკოსი **დიოდორე სიცილიელი**, რომელიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ცხოვრობდა. იგი იმასაც დასძენს, რომ ჰიპერბორეელები ასევე ბედნიერად კვდებიან კიდეც მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ იჯერებენ გულს ხანგრძლივი და საამო სიცოცხლით.

ჩრდილოეთის „ზღაპრული“ ქვეყნისა რომაელებსაც სწამდათ, რომლებმაც ბერძნებისგან მთელი მითოლოგია გადმოიღეს. ჩვენი დროის I საუკუნის მეცნიერი და მწერალი **პლინიუს უფროსი** ცდილობდა ჰიპერბორეელთა ცხოვრების ნირის წარმოდგენას და წერდა, რომ მათ ქვეყანაში მზე ნახევარი წლის მანძილზე არ ჩადის — მისი გათვლებით ის პოლარული წრის მიღმა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამასთან მას რატომღაც მიაჩნდა, რომ იმ მიწაზე თბილა, იზრდება უღრანი ტყეები და კლიმატიც ერთობ საამოა. **შესაძლოა, მას მიაჩნდა, რომ ჰიპერბორეელებს ამინდის მართვა შეუძლიათ.**

მითმა ჰიპერბორეელების შესახებ გაცილებით გვიანდლამდეც მოაღწია. კერძოდ, 1595 წელს ინგლისელმა მოგზაურმა **ჰერარდ მერკატორმა** დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილის რუკა დასტამბა, რომლის შუაში მეზღვაურმა საკმაოდ ვრცელი კონტინენტი — **არქტიდა** — მოათავსა. უფრო სწორად, ეს იყო არა კონტინენტი, არამედ ოთხი დიდი კუნძული, რომლებიც ერთმანეთისგან ვიწრო სრუტეებით ან ფართო მდინარეებით იყო გამიჯნული. თანაც ამ არქიპელაგის გარშემო მდებარე კონტინენტების კონტურები უდიდესი სიზუსტით იმეორებდნენ ევრაზიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კუნძულ გრენლანდიის მიმდებარე სანაპირო ზოლის მოხაზულობებს. საიდან ჰქონდა მერკატორს ეს რუკა, ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება, თუმცა ცნობილია, რომ მას დიდად აინტერესებდა ძველებური რუკები, რომლებსაც ბიბლიოთეკების საცავებში დაეძებდა, ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ მან თავისი ფანტაზიით რომელიმე ძველი მოგზაურის მიერ ოდესღაც შედგენილი რუკა „გაალამაზა“ და ცენტრში ლეგენდარული ჰიპერბორეა მოათავსა. ამის შედეგი ის იყო, რომ დიდი ხნის მანძილზე ევროპაში დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩრდილოეთ პოლუსზე მართლაც მიწაა.

იმის მიუხედავად, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის შემდგომ ცხადი გახდა, რომ პოლარული წრის მიღმა არანაირი დასახლებული თბილი კლიმატის მიწები არ არის, მითმა ჰიპერბორეის, ანუ არქტიდის შესახებ დღევანდლამდე მოაღწია. მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ **ჰიპერბორეული ცივილიზაცია ჩრდილოეთში ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ არსებობდა, მაგრამ შემდეგ რაღაც მიზეზით დაიღუპა**. არსებობს მოსაზრება, რომ ბოლო გამყინვარებამდე დედამიწაზე კლიმატი ამჟამინდელზე გაცილებით რბილი და იმდენად თბილი იყო, რომ პოლარულ არეებშიც კი ცხელოდა და ტროპიკული მცენარეები იზრდებოდა. მაგრამ მაინც გაუგებარია, თუკი ეს მართლაც ასე იყო, რამდენად რეალურია იქ მრავალი ადამიანის სახლობა? ამ მხრივ რამდენიმე მოსაზრება არსებობს: **ზოგიერთს მიაჩნია, რომ ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში კონტინენტი ან დიდი კუნძული არსებობდა, რომელიც დედამიწაზე კლიმატის ცვლილების, ანდა რომელიღაც გლობალური კატასტროფის შედეგად ჩაიძირა**. სხვების აზრით, ჰიპერბორეელთა სამშობლო, შესაძლოა, **გრენლანდია** ან **კოლის** ნახევარკუნძული ყოფილიყო, მესამეები კი თვლიან, რომ ანტიკური ავტორები ცდებოდნენ, როცა ჰიპერბორეას ასე შორს ჩრდილოეთში უჩენდნენ ადგილს, **სინამდვილეში კი ეს ლეგენდარული ქვეყანა ურალის მთების ან კარელიის მიდამოებში უნდა ყოფილიყო.**

ჰიპერბორეის იდეის ყველა ვარიანტის მომხრეებს მაინც ერთი რამ აქვთ საერთო: **მათ სწამთ, რომ ამ უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლები ერთიანად არ გადაშენებულან და რომ ევროპელი და სლავი ხალხები მათი შთამომავლები არიან.**

მოამზადა

ნინო ალექსანდრიამ

დაკარგულის დაცვა

ფრჩხილებზე ნიშნის დატანის ახალი სისტემა იმ პირთათვის, ვისაც სახლის გზა შეიძლება დაავიწყდეთ, იაპონელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს.

მეხსიერების დაკარგვა შესაძლოა, ალცჰეიმერის დაავადებამ, ან დემენციის სხვა სახეობებმა გამოიწვიოს. უწინ ნათესავებს ურჩევდნენ პაციენტების ფეხსაცმელსა და სამოსზე სახელიანი და მისამართიანი ნაჭრების მიკერებას, მაგრამ არსებობს იმის ალბათობა, რომ სახლიდან გასვლისას ავადმყოფმა სწორედ დანიშნული სამოსი არ ჩაიცვას.

ახალი ნიშანი — ესაა 1X1 სანტიმეტრის ზომის წყალგაუმტარი სტიკერი, რომელზეც პირის შესახებ მთელი ინფორმაციაა დატანილი: საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი. ასეთი ნაწერები ფრჩხილზე ორ კვირას ჩერდება. სკანერის გამოყენებით პოლიციას ყველა მონაცემის მიღება და პაციენტის ნათესავებთან დაკავშირება შეუძლია.

მოსალოდნელია, რომ 2055 წლისთვის ხანდაზმულთა ოდენობა იაპონიაში 40 პროცენტს მიაღწევს, თანაც მოსახლეობა 127 მილიონიდან 90 მილიონ კაცამდე შემცირდება.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მეოთხედაც – ფრანგებთან

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში პორტუგალიას 5 ლელო გაუტანეს, 25:0 დაამარცხეს და ხვალ 18 საათზე ფინალში „სამფეროვანთა“ წინააღმდეგ ითამაშებენ.

დავით ჩავლეიშვილის შეგირდები, 2015 წლიდან მოყოლებული ზედიზედ მეოთხედ არიან ტიტულის ზღურბლთან, სადაც მათ ტრადიციული მეტოქე საფრანგეთი ელოდებათ, რომელმაც პოლონეთში მიმდინარე ტურნირის ამავე ეტაპზე ესპანეთს 38:7 მოუგო.

ქართველმა მორაგბეებმა თამაში თავიდანვე აგრესიულად დაიწყეს, პირენეელები წნეხის ქვეშ მოაქციეს და მათ 22-ში შერკინების უფლება მოიპოვეს. იქიდან გიგი ლეშკაშელმა შეუტია, მიხეილ ალანიას გავლით ბურთი ზურაბ ქავთარაძეს მიუვიდა და მანაც ლელოთი ანგარიში გახსნა. გარდასახვა არაზუსტი იყო.

ამის შემდეგ ბურთზე კონტროლი პორტუგალიამ დაამყარა და ჯარიმით სხვაობის შემცირებაც შეეძლო, მაგრამ დარტყმა უშედეგო გამოდგა. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ ინიციატივას დავეუფლეთ, მორკინალებმა ყველა ჯერზე უპირატესობის ხაზი გადალახეს და თითქოს ლელოც დავდეთ, თუმცა, რეფერიმ განმეორებით მოძრაობაში დაგვადანაშაულა.

26-ე წუთზე მეორე ლელო მაინც გავიდა. 5-მეტრა დერეფნის შემდეგ მოლი დადგა, მოკლე ფრთა დაუცველი დარჩა, იქ მიხეილ ალანიამ შეუტია და ანგარიში 10:0-მდე გაზარდა. მიუხედავად ორივე გუნდის მცდელობისა, ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ნახევრის მე-5 წუთზე გიორგი მარგალიტაძემ ხაზი გაჭრა, რამდენიმე მბოჭავი აირიდა და ლელომდე სულ ცოტა დააკლდა. ეს ცოტა მორკინალებმა დაფარეს, მაგრამ რეფერიმ დამიწება არ დააფიქსირა. სამაგიეროდ, 5-მეტრა შერკინების შემდეგ იერიშის მიმართულება სწრაფად შეიცვალა, მცველებმა გადაწყობა ვეღარ მოასწრეს და ქავთარაძემ მეორე ლელო გაიტანა. ლაშა ლომიძეს გარდასახვაში ხელი ამჯერადაც ქარმა შეუშალა.

ტაიმის შუაში ქართველთა სრულმა უპირატესობამ ძალისმიერ თამაშში შედეგი გამოიღო და მეოთხე ლელო შეცვლაზე შესულმა ირაკლი მჭედლიძემ მიითვალა. ხუთიოდე წუთში ჩვენმა მოლმა 5 მეტრი იარა, ვანო პარკაძემ ლელო გამოაცხო და მსუყე წერტილი დასვა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

„მეჯე“ ჯორდანს გაუტოლდა

„კლივლენდ კავალიერზის“ სუპერვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიის გადაწერას აგრძელებს. 33 წლის ჯადოქარმა „შარლოტ ჰორნეთსთან“ მატჩში ფანტასტიკურად ითამაშა და უდიდესი წვლილი შეიტანა საკუთარი გუნდი გამარჯვებაში – 118:105.

41 ქულა, 10 მოხსნა და 8 პასი – ასეთი იყო ლებრონის ფენომენური შედეგი აღნიშნულ შეხვედრაში. თუმცა, ამაზე უფრო ფასეული ფაქტიც დაფიქსირდა. ჯეიმსმა ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის რეკორდი გაიმეორა. საქმე ეხება NBA-ს ისტორიაში ზედიზედ მოპოვებულ მინიმუმ 10 ქულას.

მაიკლ ჯორდანი 1986 წლის მარტიდან 2001 წლის დეკემბრამდე ზედიზედ 866 თამაშის განმავლობაში აგროვებდა მინიმუმ 10 ქულას, ხოლო ლებრონის სერია 2007 წლის იანვარში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მომდევნო მატჩში „მეფეს“ ჯორდანის რეკორდის დამხობის შანსი მიეცემა და ძნელი სავარაუდოა, რომ ეს ვერ მოახერხოს.

აქვე გაეცანით საუკეთესო ხუთეულს NBA-ში, რომელთაც მინიმუმ 10-ქულიანი შეხვედრების ყველაზე ხანგრძლივი სერია გააჩნიათ:

მაიკლ ჯორდანი – 866 მატჩი, 1986 წლის მარტიდან 2001 წლის დეკემბრამდე;

ლებრონ ჯეიმსი – 866 მატჩი, 2007 წლის იანვრიდან დღემდე;

კარიმ აბდულ-ჯაბარი – 787 მატჩი, 1977 წლის დეკემბრიდან 1987 წლის დეკემბრამდე;

კარლ მელოუნი – 575 მატჩი, 1991 წლის დეკემბრიდან 1999 წლის მარტამდე;

კევინ დურანტი – 562 მატჩი, 2009 წლის მარტიდან 2017 წლის თებერვლამდე.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ ფეხბურთი

საღდგომო საჩუქარი

იტალიური „მილანის“ სპორტულმა დირექტორმა მასიმილიანო მირაბელიმ დააანონსა, რომ კლუბი ჯენარო გატუზოსთან ახალ კონტრაქტს აპრილში გააფორმებს.

„დაბრკოლება არ არსებობს – ვამზადებთ სადღესასწაულო საჩუქარს და შეესაძლოა, ჩვენი სააღდგომო კვერცხი გატუზოს ახალი ხელშეკრულება იყოს. არ მგონია, რომ პრობლემა წარმოიშვას. ვფიქრობ, ჯენარო „მილანში“ დიდი ხნით დარჩება და კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწვრთნელი გახდება“, – აღნიშნა მირაბელიმ.

შეგახსენებთ, რომ ჯენარო გატუზომ „როსონერი“ გასული წლის ნოემბერში ჩაიბარა. მხარეებს შორის მიმდინარე ხელშეკრულება ძალაში სეზონის ბოლომდეა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

უნივერსალიც ამას ჰქვია

იტალიელი ტელეწამყვანი, პოლიტიკოსი, მოდელი, საკრებულოს ყოფილი წევრი და საფეხბურთო კლუბ „მილანის“ გულდათუთქული ქომაგი ნიკოლ (მოგვიტევეთ და) მინეტი ერთ-ერთი მათთაგანია, რომელიც ცხოვრებას არასოდეს ეპუება და რაც არ უნდა ჩავარდნა ჰქონდეს, ისე კოხტად წამოიმართება – თქვენი მოწონებული!

იგი წარმოშობით ქალაქ რიმინიდანაა და როდესაც მათი დიადი გვარი იკრიბება, მას ყველა განსაკუთრებულად ლოცავს, რადგან ეს ამოდენა ხელობებისა და პროფესიების მქონე დიდებული დინასტიის წარმომადგენელი ქალბატონი სილვიო ბერლუსკონის ზეობის დროს ნათესავების გვერდით იდგა და სადაც კი მსუყე თანამდებობა იყო, მისი გამოისობით ყველგან გუგუნებდა და ყელყელაობდა.

სხვათა შორის, მიუხედავად ამოდენა განსწავლულობისა და საქმეთა მრავალპროფილურობისა, ნიკოლი თურმე განათლებით გრამატიკის სპეციალისტი და სტომატოლოგი ყოფილა. თუმცა, რა გასაკვირია, რომ სხვათა პირში ცქერას უფრო მეტად მომგებიანი საკბილოები არჩია და მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნით იტალიის ციხეშიც კი იჯდა გაფლანგვის ბრალდებით, დღეს კვლავ პოლიტიკოსობს და ვინ იცის – იქნებ მისი სისხლისანები კვლავ აღორძინდნენ!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩოგბურთი

ნადალი ბრუნდება

დიდი სლემის 16-გზის ჩემპიონი რაფაელ ნადალი კორტს დევისის თასის 1/4-ფინალში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში დაუბრუნდება, აღნიშნულ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

მალიორკელმა ბოლოს იანვარში ითამაშა და მას შემდეგ ტრავმის გამო ტურნირებზე ვეღარ გამოდიოდა.

ესპანეთი – გერმანიის მეოთხედფინალური შეხვედრა 6-8 აპრილს გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ სავალალო სტატისტიკა

დავიცვათ ოჯახები ძალადობისგან!

სტატისტიკური მონაცემებით, 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, მთელი საქართველოს მასშტაბით, ოჯახური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით 855 პირი დაკავეს.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ.

„რაც შეეხება კონკრეტულ დანაშაულებს, ბრალდებულთა ძირითადი ნაწილი დაკავებულ იქნა ოჯახში ძალადობის, ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის, იძულებისა და ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით.

რაც შეეხება კონკრეტულ მუხლებს, დაკავებული 855 პირიდან:

585 მათგანი დაკავებული იქნა ოჯახში ძალადობის ბრალდებით;

206 — ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით;

39 — ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის ბრალდებით;

5 — ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით;

3 — ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული იძულების ბრალდებით;

3 — ოჯახის წევრის ადევნების ბრალდებით;

3 — ოჯახის წევრის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით;

2 — ოჯახის წევრის მკვლელობის ბრალდებით;

2 — ოჯახის წევრის ნივთის დაზიანების ბრალდებით;

2 — ოჯახის წევრის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით;

1 — ოჯახის წევრის მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ბრალდებით;

1 — ოჯახის წევრის მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით;

1 — ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ბრალდებით;

1 — ოჯახის წევრის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ბრალდებით;

1 — ოჯახის წევრის მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით.

გამოძიების დაწყების პარალელურად, მსხვერპლთა დაცვის მიზნით, სამართალდამცველებმა 1402 პირის მიმართ გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, რომლითაც მოძალადეებს დაუწესდათ გარკვეული შეზღუდვები და აეკრძალათ მსხვერპლებთან ნებისმიერი ფორმით კომუნიკაცია“, — აცხადებენ უწყებაში.

სუს-მა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს გურიის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლები: გენო ქ., ემზარ ც., მამუკა ა., ირაკლი ხ. და რამაზ კ. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა,რომ გურიის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლებს: გენო ქ-ს, ემზარ ც-ს, მამუკა ა-ს, ირაკლი ხ-ს და რამაზ კ-ს., საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე,უკანონო ქმედების ჩადენის შედეგად, მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით შეუთანხმდნენ, რომ მოახდენდნენ ინერტული მასალის — ქვიშა-ღორღის ლიცენზიის გარეშე მოპოვებას. გენო ქ-მ, ემზარ ც-მ, მამუკა ა-მ, ირაკლი ხ-მ, და რამაზ კ-მ, 2017-2018 წლებში არ განახორციელეს კანონით გათვალისწინებული მათზე დაკისრებული მოვალეობები და აღნიშნული კომპანიების წარმომადგენლების უკანონო ქმედებებში მხილებისა და სადამსჯელო ღონისძიებების ნაცვლად, თავისი უმოქმედობით და ყალბი დოკუმენტების შედგენის შედეგად, საშუალება მისცეს იმავე კომპანიების წარმომადგენლებს, მოეხდინათ დიდი ოდენობით ინერტული მასალის, ქვიშა-ღორღის ლიცენზიის გარეშე მოპოვება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. 2018 წლის 29 მარტს გენო ქ. ემზარ ც., მამუკა ა., ირაკლი ხ. და რამაზ კ. დაკავებული იქნენ ბრალდებულის სახით. გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხ წლამდე ვადით.

ლაშა მესხმა საზოგადოებრივ მაუწყებელს მოუგო

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჟურნალისტ ლაშა მესხის მიმართ განხორციელებული პროფკავშირული ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა, მაუწყებელს მესხის სამსახურში აღდგენა დაევალა, განაცდურის სრული ოდენობის ანაზღაურებასთან ერთად.

ლაშა მესხის ინტერესებს სასამართლოში პროფკავშირების გაერთიანების იურისტი რაისა ლიპარტელიანი იცავს. დავა მაუწყებელსა და მესხს შორის გასულ წელს დაიწყო.

პროფკავშირების ინფორმაციით, ლაშა მესხი საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფკავშირის თავმჯდომარედ არჩევის და მაუწყებელში არსებულ პრობლემებზე ღიად გაკეთებული განცხადებების შემდეგ ჯერ შეავიწროვეს, შემდეგ კი სამსახურიდან დისკრიმინაციული საფუძვლით გაათავისუფლეს.

ROJDAMA
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

სანთელი

რაულ ხარლამპის ძე თოფურია

დაიბადა 1927 წელს ქ.აბაშაში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს და მუშაობდა 2010 წლამდე. იყო აბაშის რაიონის მთავარი სტომატოლოგი. 1975 წელს მიენიჭა „უმაღლესი კატეგორიის“ ექიმ-სტომატოლოგის წოდება, 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“. 2015 წელს მიენიჭა „აბაშის საპატიო მოქალაქის“ წოდება. შექმნა შესანიშნავი ოჯახი ქალბატონ ლეილა ფაღავასთან ერთად და სამშობლოს გაუზარდეს სამი შვილი. ვაჟიშვილი ლევანი, რომელიც, სამწუხაროდ, 53წლის ასაკში გარდაიცვალა, ორი ქალიშვილი ქეთევანი და მზია, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ დედ-მამის სასახელო ტრადიციებს. ბატონი რაულის სახელი და ღირსება დიდხანს დარჩება ოჯახის წევრების, ახლო ნათესავებისა და მეგობრების გულში.

მეგობრების ჯგუფი

დაკრძალვა 1 IV, 14 სთ. აბაშაში, თავისუფლების ქუჩა 73.

ლილი, ზაურ თელიები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ადამიანის, ღირსეული პიროვნების

რაულ თოფურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

დარეჯან ელიაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ქეთინო და მზია თოფურიებს მამის, დამსახურებული ექიმის, საპატიო მოქალაქის

რაულ თოფურიას

გარდაცვალების გამო.

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მოსახლეობას აფრთხილებს!

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მოსახლეობას აფრთხილებს, რომ უცნობი პირები მათი სახელით რეკავენ და ოჯახის წევრების საკონტაქტო ნომრების დაზუსტებასა და სხვა პირად ინფორმაციას სთხოვენ. კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნულ ზარებთან კომპანიას საერთო არაფერი აქვს.

„გაცნობებთ, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სახელით უცნობი პირები კვლავ რეკავენ აბონენტებთან და სთხოვენ ოჯახის წევრების საკონტაქტო ნომრების დაზუსტებასა და სხვა პირად ინფორმაციას. უცნობი პირები კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სახელით მომხმარებლებს ასევე გარკვეულ ფასად სთავაზობენ HN3-ს დეტექტორების მონტაჟს. „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ, რომ აღნიშნულ ზარებთან კომპანიას კავშირი არ აქვს და ეს ადამიანები არ არიან „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლები. „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ არ ინტერესდება მომხმარებლების ოჯახის წევრების ტელეფონის ნომრებითა და სხვა პირადი მონაცემებით, რაც ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. კომპანია ასევე არ ახორციელებს HN3-ს დეტექტორების მონტაჟს. ნებისმიერი მსგავსი შინაარსის ზარის განხორციელების შემთხვევაში, არ გასცეთ თქვენი ოჯახის წევრების პირადი ინფორმაცია. ასევე ფაქტის დაფიქსირებისას გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ კომპანიის ცხელ ხაზზე - 2 40 40 04, 24 საათის განმავლობაში“.

შაქრო კალაშოვს 10 წელი და 10 თვე მიესაჯა

მოსკოვის რაონულმა სასამართლომ ეგრეთ წოდებულ კანონიერ ქურდს შაქრო კალაშოვს 10 წელი და 10 თვე მიუსაჯა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო გამოძალვის ბრალდებით. სასჯელს კალაშოვი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოიხდის. ადვოკატებმა განაჩენი გაასაჩივრეს.

მთაწმინდაზე წლის ბოლოს საბაგიროთი ავალთ...

„როგორც კი ნებართვა გვექნება, ტენდერს გამოვაცხადებთ და სამშენებლო სამუშაოებს დავიწყებთ“, — ამის შესახებ „კომერსანტს“ მთაწმინდის საბაგირო გზის პროექტის მთავარმა მენეჯერმა ლაშა დალაქიშვილმა განუცხადა.

როგორც დალაქიშვილი პროექტის შესახებ საუბრისას აცხადებს, მშენებლობამდე სხვადასხვა მოსამზადებელი სამუშაო პროცესი იწყება.

„საბაგიროს ხუთი საყრდენი ანძა აქვს და მისი ხელახლა დამონტაჟება მოხდება. უკვე დასრულებულია, როგორც კონსტრუქციული, ისე ხარჯთაღრიცხვის ნაწილის პროექტირება.

ამ ეტაპზე სანებართვო პროცედურების განხორციელება იწყება, რათა მშენებლობაზე ნებართვა მივიღოთ და შემდგომ, თბილისის სატრანსპორტო კომპანიისგან, როგორც პროექტის განმახორციელებელისგან სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა მოხდება. შესყიდვის პროცედურები დაიწყება, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი სამსახურისგან მშენებლობის ნებართვას ავიღებთ“, — განაცხადა დალაქიშვილმა.

სამშენებლო სამუშაოებს დაახლოებით 9 თვე დასჭირდება, რაც საბაგიროს მონტაჟსაც გულისხმობს. მის მონტაჟს ავსტრიული კომპანია Doppelmayr-ი განახორციელებს.

მთაწმინდის საბაგიროზე მგზავრთა გადასაყვანად 20 გონდოლა იქნება გამოყოფილი.

„ამ პროექტის დასრულება მიმდინარე წელს გვსურს და, სავარაუდოდ, 2018 წლის ბოლოსთვის მზად იქნება. როგორც კი ნებართვა გვექნება, ტენდერს გამოვაცხადებთ და სამშენებლო სამუშაოებს დავიწყებთ,“ — აღნიშნა დალაქიშვილმა.

თავდაპირველი მიმართულებით საბაგიროს გზა სასტუმრო „რედისონიდან“ უნდა გასულიყო, თუმცა საბოლოო ადგილად მეცნიერებათა აკადემიის ეზო შეირჩა. საბაგირო მთაწმინდის პარკში რესტორან „ფუნიკულიორის“ წინ გაჩერდება.

მთაწმინდის საბაგირო 1990 წლის 1 ივნისს ჩამოწყდა, რის შედეგადაც 15 ადამიანი დაშავდა, ხოლო 20 გარდაიცვალა.

ლიკა გურაბანიძე

გაიხსნა ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“

თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ახალგაზრდული კინოფესტივალის — „თაობა“ გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

ფესტივალი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, კულტურისა და განათლების ფონდისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ერთობლივი ორგანიზებით ტარდება და 2 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

სოფიო ხუნწარიას თქმით, ფესტივალს თბილისის მერიის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ექნება.

„წიგნის, თეატრის, კლასიკური მუსიკის, კინოხელოვნების სიყვარული სწორედ ბავშვობიდან იწყება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ 13-დან 18 წლამდე ახალგაზრდები, დიდ კინოხელოვნებას ეზიარებიან. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მომავალში არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალიდან გავიგებთ ბევრი მათგანის სახელს და ვიამაყებთ, რომ მათ სწორედ „თაობიდან“ დაიწყეს კინოკარიერა. ფესტივალი 2019 წლიდან უფრო მასშტაბური გახდება. **თბილისის მერია აღნიშნულ ღონისძიებას მხარში მაქსიმალურად დაუდგება“,** — განაცხადა სოფიო ხუნწარიამ.

პროექტი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხორციელდება. ახალგაზრდული კინოფესტივალი, როგორც სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიება მომავალი წლიდან ყოველწლიურ სახეს მიიღებს. პროექტის მიზანი ახალგაზრდა აუდიტორიის განვითარება და კინოხელოვნების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებაა. „თაობაში“ საქართველოში მცხოვრები 13-18 წლის 300 ახალგაზრდა მონაწილეობს.

გასაცინებელი ა(მ)ბები

განსხვავება

პატარა იანი პუდრის ყუთს მიადგა, რომელიც დედის პარფიუმერიის მაგიდაზე იდგა. დაიკომ შენიშნა და მაშინვე ხელიდან გამოჰგლიჯა.

— დამიბრუნე! — დაუყვირა იანმა.

— არ მოგცემ, — მტკიცედ განუცხადა დაიკომ, — ეს ქალებისთვისაა, კაცები კი პირს იბანენ.

ზღვის მგელი

ბებერი „ზღვის ლომი“ შორეული ნაოსნობიდან დაბრუნდა, ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორი უმალ ეწვია.

— წარმომიდგენია, რამდენი რამ გადაგხდებოდათ, — უთხრა მან. — უამბეთ ჩვენს მკითხველებს იმ ქარიშხალზე, გზაში რომ გადაიტანეთ.

— შინ ტალახიანი ჩექმებით დავბრუნდი. ჩემი ცოლი სწორედ იმ დროს იატაკს რეცხავდა. ამიტყდა, მაგრამ რა ამიტყდა! აი, ყველაზე დიდი ქარიშხალი ჩემს ცხოვრებაში მაშინ გადავიტანე.

ჯენტლმენი

იმ პატარა დაბაში, რომელიც თავის დღეგრძელი ბინადრებით იყო განთქმული, რეპორტიორი ყველაზე ხნიერ ადამიანს ეძებდა. ადგილობრივებმა ერთ პატარა სახლზე მიუთითეს, რომელიც თეთრად იყო შეფეთქილი.

— როგორც მითხრეს, თქვენ ყველაზე ხნიერი მოქალაქე ხართ ამ დაბაში. — ეუბნება რეპორტიორი ჭარმაგ ბერიკაცს, რომელმაც კარი გაუღო.

მოხუცმა თითი ტუჩზე მიიდო და ჩურჩულით ეუბნება:

— გეშლებათ, ჩემი ცოლი ჩემზე უფროსია, მაგრამ ეს არავინ არ უნდა იცოდეს.

მუსიკის მოყვარული

დასასვენებელ სახლში შენიშნეს, რომ ერთი დამსვენებელთაგანი სულ როიალთან იჯდა, მაგრამ არ უკრავდა.

— ალბათ, კარგი მუსიკოსი ბრძანდებით, მაგრამ რატომ არასდროს არ უკრავთ? — ჰკითხეს ერთხელაც.

— მე დაკვრა საერთოდ არ ვიცი.

— მაშ, რატომ უზიხართ ყოველთვის როიალს?

— რათა სხვა არავინ მიუჯდეს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4272; ევრო - 3.0078;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4342;
100 რუბლი - 4.2154; თურქული ლირა - 0.6068;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4291;
1000 სომხური დრამი - 5.0567.

ამინდი 30 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +13
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +11
თბილისი: ღამე +9, დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge